# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურ-თის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

პარასკევი, 24 მარტი. 2023 წ. №34 (9566) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


# საქართველოს მტრებს ხელისუფლების შეცვლაც უნდათ და ქვეყნის ცეცხლის ალში გახვევაც!



იხ. 4 გვ.

ადეიშვილი, როგორც უფლებათა დამცველი ისე მოღვაწეობს უკრაინაში და უკრაინის ხელისუფლების ოფიციალური დელეგაციის წევრია, რაც დაუშვებელია, რადგან ის არის საქართველოს მიერ ძებნილი პირი.

გერმანულ მხარეს სამართლებრივი შეკითხვები აქვს კეზერაშვილთან იმ ქოლცენტრების მუშაობასთან დაკავშირებით, რომელთა მეშვეობით ევროპელი პენსიონერები კეზერაშვილის თაღლითური სქემის მსხვერპლნი გახდნენ. გამოძიება ამ დრომდე მიმდინარეობს. კეზერაშვილი ამ თაღლითური სქემის მთავარი ფიგურანტია.



ბონდო მძინარაშვილი:

## გააძევეთ ეს ნაძირალა საქართველოდან!



ნანა კაკაბაძე: **ხომ უნდა ვიცოდეთ, ვისგან ფინანსდება ფადი ასლი, ლომჯარია, ენჯეოები?**

3

**ფადი ასლი** რეკომენდაციებს რეკომენდაციებზე უგზავნიდა ჩვენს ხელისუფლებას, **კალაძისგან** მოითხოვდა, მოსკოვის გამზირისთვის **ზელენსკის** გამზირი ეწოდებინათ.



## ხვიჩა კვარაცხელია საქართველოს საპატრიარქოს ესტუმრა



23 მარტს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ცნობილი ქართველი ფეხბურთელი ხვიჩა კვარაცხელია მიიღო.

შეხვედრას ესწრებოდნენ ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე), სამღვდელოება, ფეხბურთელის ოჯახის წევრები და ხვიჩას საცოლე. მისმა უწმინდესობამ დალოცა ხვიჩა კვარაცხელია, მისი თანმხლებნი და შემდგომი წარმატებები და ბედნიერება უსურვა.

საქართველოს ნაკრებისა და „ნაპოლის" თავდამსხმელი საქართველოს ნაკრების შეკრებაზე 21 მარტს ჩამოვიდა, 22 მარტს კი „ჯვაროსნებთან" ერთად მარტის სანაკრებო თამაშებისთვის მზადება დაიწყო. დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, 22 წლის ფეხბურთელმა დრო მაინც გამონახა და მშობლებთან და უახლოეს ადამიანებთან ერთად, საქართველოს საპატრიარქოს ესტუმრა. ეს მისთვის ტრადიციაა – ხვიჩა საქართველოში ყოფნისას ეკლესიაში სისტემატურად დადის.

ირაკლი ღარიბაშვილი:

## მთავრობა და პარლამენტი ადასტურებენ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისადმი სახელმწიფოს ერთგულებას

დამტკიცდა ადამიანის უფლებათა დაცვის რიგით მეორე ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის.

**„სახელმწიფოს სწრაფვა ინსტიტუციური დემოკრატიისკენ, სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური უფლებებით თანაბრად სარგებლობის უზრუნველყოფა, თანასწორობის პოლიტიკის განმტკიცება და ოკუპაციის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეებზე ზრუნვა სახელმწიფო პოლიტიკის ის ფუნდამენტია, რომელსაც ეფუძნება ეს დოკუმენტი. ამ სტრატეგიის დამტკიცებით საქართველოს მთავრობა და პარლამენტი ადასტურებენ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ვალდებულებისადმი სახელმწიფოს ერთგულებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემური და გრძელვადიანი პოლიტიკის თანამიმდევრულად და უწყვეტად წარმართვას"**, – აღნიშნავს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი.

ზურაბ გუმბერიძე:



6

## ჰეიდარ ალიევმა მოიპოვა მარადისობა აზერბაიჯანელი ხალხის ხსოვნაში...

საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო მასშტაბის იურისტი



60

## ლადო ჭანტურია

## ქართული ცივილისტიკის მეტრი

5



# ჟოზეფ ბორელი: ილია დარჩიაშვილს გავუზიარე ვენეციის კომისიის ყველა რეკომენდაციის მნიშვნელობა!

**ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი ჟოზეფ ბორელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან, ილია დარჩიაშვილთან შეხვედრის შესახებ „ტვიტერზე“ წერს.**

ბორელის თქმით, მინისტრთან განიხილა რეგიონული უსაფრთხოების ვითარება და ევროკავშირის მხარდაჭერა საქართველოს მედეგობის გაძლიერებაში.

**„ილია დარჩიაშვილს ღიად გავუზიარე აუცილებელი რეფორმები საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე და ვენეციის კომისიის ყველა რეკომენდაციის იმპლემენტაციის მნიშვნელობა. ხაზი გაესვა სამოქალაქო საზოგადოების როლის მნიშვნელობას. განვიხილეთ რეგიონული უსაფრთხოების ვითარება და ევროკავშირის მხარდაჭერა საქართველოს მედეგობის გაძლიერებაში“,** — წერს ბორელი.

# ირაკლი კობახიძე: ლევან იოსელიანი არასოდეს გახდება ნინო ლომჯარია, ამის ძალიან მწამს!

**„სამი ოპოზიციონერი ქალი დეპუტატის მიმართ ბულინგი წარმოებდა. შემიძლია, ვივარაუდო, რომ ეს მოდიოდა იმ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, რომლებმაც ლევან იოსელიანის არჩევისთანავე მის არჩევაზე ნეგატიური განცხადება გამოაქვეყნეს. ეს იყო დაახლოებით 10-15 ენჯეო, რომელიც არის ყველაზე მდიდარი ენჯეო და ისინი გამოირჩევიან ყველაზე რადიკალური ქმედებებით. ისინი არიან რადიკალური ოპოზიციის შემადგენელი ნაწილი.**

**მიზეზია ერთი — მათ იფიქრეს, რომ ლევან იოსელიანი არ არის აგენტი, არ არის ჯაშუში და აქედან გამომდინარე, მათ გაუჭირდებოდათ ამ ადამიანის დაქვემდებარება ისე, როგორც თავის დროზე მარტივად დაიქვემდებარეს ნინო ლომჯარია. ლევან იოსელიანი ნინო ლომჯარია არასოდეს გახდება, ამის ძალიან მწამს და რა თქმა უნდა, შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებს უნდოდათ აგენტი და ჯაშუში ამ თანამდებობაზე“,** — განაცხადა კობახიძემ.

# საქართველოში თუ რაიმე ანტიევროპულია, ეს არის გუბაზ სანიკიძე, მიხეილ სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“

**„გუბაზ სანიკიძე ანტიევროპის სახეა საქართველოში — თავისი წარსულით, აწმყოთი, მომავლით. სააკაშვილი არის ზუსტად ის პიროვნება, ვინც ყველაფერს ანტიევროპულს განასახიერებდა თავისი საქმიანობით, როცა იყო საქართველოს პრეზიდენტი.**



**ქვეყანაში ყველაზე არაევროპული რეჟიმი მაშინ იყო — ადამიანის უფლებების შელახვით, რუსეთის გავლენის გაფართოებით, ბიზნესის რეკეტით და ა.შ. საქართველოში თუ რაიმე ანტიევროპულია, ეს არის გუბაზ სანიკიძე, მიხეილ სააკაშვილი, „ნაცმოძრაობა“. შესაბამისად, სააკაშვილის დაკავშირება ევროპულ ინტეგრაციასთან კატეგორიულად მიუღებელია“,** — განაცხადა პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ.

# თვითდაზიანებაზე პასუხისმგებელია პატიმარი და მისი ოჯახი!

**თვითდაზიანებაზე პასუხისმგებელია თავად პატიმარი — ეს ასეა მთელ მსოფლიოში, ნებისმიერ პენიტენციურ სისტემაში და აქედან გამომდინარე, საქართველოშიც გვაქვს ზუსტად იგივე ვითარება,** — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რითიც მსჯავრდებული ექსპრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მკურნალობის შესახებ დასმულ კითხვას უპასუხა.

**„სახელმწიფო სტრუქტურები პასუხისმგებელი არიან ზრუნვაზე, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა პატიმრის მიმართ. ეს არის საერთო სურათი. ასევე, ამ შემთხვევაში თვითდაზიანებაზე პასუხისმგებელია პატიმრის ოჯახი, რომელსაც არასათანადო კალორაჟის საკვები შეაქვს პატიმართან. ეს არის გაუგონარი მოვლენა. ამაზე საზოგადოებამ და საერთაშორისო პარტნიორებმაც უნდა გაამახვილონ ყურადღება: რატომ ხდება თვითდაზიანება და რატომ არის ამაში ჩართული ოჯახი, რომელიც აბსოლუტურად გაუგონარ რამეს აკეთებს“,** — აცხადებს კობახიძე. კლინიკა „ვივამედი“ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს, რომელშიც განმარტავს, რომ პაციენტი იმყოფება მხოლოდ სიმპტომურ მკურნალობაზე, უნდობლობას აცხადებს მედპერსონალის მიმართ და უარს ამბობს შეთავაზებულ მკურნალობის სქემაზე. მათივე განცხადებით, ამის შედეგად „ვივამედი“, დაუმსახურებლად იღებს უზარმაზარ რეპუტაციულ დარტყმას, რაც კატეგორიულად მიუღებლად მიაჩნიათ.

**„ყველაფერ ამის გათვალისწინებით, სავარაუდოდ, იძულებული ვხდებით, მივმართოთ პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო სამსახურს, შეაფასოს პაციენტ მ. სააკაშვილის კლინიკა „ვივამედში“ შემდგომი დაყოვნების მიზანშეწონილობა, ვინაიდან ის სიმპტომური მკურნალობა, რაზეც თანხმობას აცხადებს პაციენტი, შესაძლებელია ნებისმიერ სხვა დაწესებულებაში“,** — ნათქვამია განცხადებაში.

# გიული ალასანია: რის საფუძველზე აპირებენ მიშას ციხეში დაბრუნებას?

მიხეილ სააკაშვილის დედა გიული ალასანია აცხადებს, რომ მისთვის გაუგებარია, რის საფუძველზე შეიძლება, დააბრუნონ სააკაშვილი ციხეში.

**„მაშინვე გამიჩნდა აზრი, რომ აპირებენ ციხეში დაბრუნებას, არ ვიცი, რის საფუძველზე. ყოველ შემთხვევაში, ამ ადამიანის ჯანმრთელობა არ იძლევა ამის შესაძლებლობას. ყველაფერი შეიძლება, მოხდეს. ფაქტია უცხოელი ექიმები არ შემოუშვეს. ესენი მთლიანად ემორჩილებიან პენიტენციურ სისტემას, ისინი სუსს და ასე შემდეგ. ძალიან ვერტიკალურია, იერარქიულია ჩვენი საზოგადოება დღეს. სამწუხაროდ, საქართველოში დემოკრატია არ არის. ვერ იმუშავა ჯერჯერობით ჩვენთან დემოკრატიამ“,** — განაცხადა ალასანიამ.

# რატომ ეზარებათ ადამიანებს ფიქრი?!

**„ქართულ ოცნებაში“ აცხადებენ, რომ უცხოური გამჭვირვალობის შესახებ კანონპროექტმა ცალკეული ენჯეო-ების ლუსტრირება უკვე მოახდინა და მისი მიღების აუცილებლობა დღის წესრიგში არ დგას. თუმცა ოპოზიციაც და არასამთავრობოებიც ეჭვობენ, რომ მმართველი გუნდი ამ კანონს ვერ შეელევა და სამომავლოდ სხვადასხვა კანონპროექტების მიღებით შეეცდებიან მის „შემოცურებას“.**

მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა ხელისუფლება აცხადებს, რომ აღნიშნული კანონპროექტის მიწოდება საზოგადოებისთვის მოუმზადებლად მოხდა და ამიტომაც გამოიწვია ასეთი ვნებათაღელვა. ეს ნათქვამი შეიძლება ტოვებდეს იმის ალბათობას, რომ მომავალში, როცა კიდევ არაერთი ქვეყანა მიიღებს აგენტების შესახებ კანონს, ჩვენი საზოგადოებაც მიხვდება, რომ ცარიელ ჭიქაში ქარიშხლის ატეხვა არ ღირდა და გაცილებით უფრო შემწყნარებლურად შეხვდება ამ კანონპროექტს.

**მოსალოდნელია თუ არა ე.წ. აგენტების შესახებ კანონპროექტის დაბრუნება მაშინ, როცა საზოგადოება ამისთვის შემზადდება?**

პოლიტოლოგი **თამარ კიკნაძე** არ გამორიცხავს, რომ მმართველი გუნდი სამომავლოდაც დაუბრუნდეს აღნიშნულ კანონპროექტს, მით უმეტეს, რომ ეს კანონპროექტი, პირველ რიგში, დასავლური პრაქტიკაა. FARA (Foreige agents Registration Act)-ასეთი კანონი ამერიკაში მიღებულია 1938 წელს და ეს კანონი საჭიროა ქვეყნისთვის, თუკი საუბარია სუვერენიტეტზე, ქვეყნის სიძლიერეზე.

## დააბრუნებს თუ არა ხელისუფლება აგენტების შესახებ კანონს, რომელსაც უამრავი ქვეყანა იღებს?!




**„უბრალოდ, მე ვთვლი, რომ არასაკმარისი ინფორმაცია იყო ჩვენი საზოგადოებისთვის მიწოდებული. შეიძლება ეს მიზანმიმართულადაც მოხდა, არ ვიცი, ამაზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ ფაქტია, რომ ეს არის პროდასავლური კანონი. რა არის იმაში ცუდი, თუკი გავიგებთ, ვინ საიდან ფინანსდება. ლაპარაკობენ, რუსული კანონიო, ამ დროს ეს კანონი ხომ თვითონ რუსულ ორგანიზაციებსაც უკეთებს ლუსტრირებას. სამწუხაროდ, ისეთი სამუშაო ჩაატარეს გარკვეულმა ძალებმა, რომ ადამიანები ღრმად არ დაუკვირდნენ, რას აპროტესტებდნენ. ადამიანებს ფიქრი ეზარებათ, ძალიან კარგად იყო დაჭერილი სლოგანი და გავლენა, თითქოს რუსულ კანონს იღებდა ხელისუფლება, რამაც იმოქმედა ქუჩაში გამოსული ადამიანების განწყობაზე“,** — აცხადებს თამარ კიკნაძე.

ამასთან, მიიჩნევს, რომ გავლენის აგენტი არ არის მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაცია, უბრალოდ, კონვერტაცია სიტყვა „აგენტის“ მიმართ უარყოფითია. თორემ მთელი თეორია არსებობს გავლენის აგენტების შესახებ, გავლენის აგენტი არის არა მარტო არასამთავრობო ორგანიზაცია, არამედ განათლების მთელი სისტემა, მასმედია, რელიგია და ა.შ. ამიტომ ცოტა უფრო კვალიფიციურად და მომზადებულად უნდა მოხდეს ამ ყველაფერზე რეაგირება.

„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარის **ნანა კაკაბაძის** აზრით, იმის გამო, რომ ამ კანონის წინააღმდეგ მოხდა ასეთი გალაშქრება, ეს უკვე ნიშნავს, რომ ყველგან, სადაც არსებობს უცხოური ფინანსები, საჭიროა სერიოზული კონტროლი. მით უმეტეს, რომ ჩვენი ქვეყანა ორჯერ იყო სახელმწიფო გადატრიალების მსხვერპლი, ორივეჯერ დადასტურებული იყო, რომ ეს მოხდა გარედან დაფინანსებით.

**„ის ძალები, რომლებმაც გაილაშქრეს უცხოური გავლენის აგენტების კანონპროექტის წინააღმდეგ, არიან სწორედ ის ხალხი, ვინც ქვეყანაში ხელისუფლების დამხობას და შეცვლას ძალადობრივი მეთოდებით აანონსებენ. ვინც ტექნიკური მთავრობის შექმნას აანონსებს, ყველა ესენი გარედან არიან დაფინანსებულნი. დიახ, ქართველმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომელი ფონდები, რომელი ქვეყნები დგანან იმ ადამიანების მხარდასაჭერად, ვინც ქვეყანაში ანტიკონსტიტუციური გზით ხელისუფლებაში მოსვლას გეგმავს. ამიტომ ეს კანონი ისევ უნდა დააბრუნონ, ოღონდ არა იმ ფორმით, რა ფორმითაც შემოიტანეს. ის ფორმა არაფრისმომცემი იყო“,** — აცხადებს ნანა კაკაბაძე.

მისივე განმარტებით, ძალიან კარგია, რომ ჩაიშალა ამ კანონპროექტის მიღება არსებული ფორმით, რადგან ეს იყო გამოშიგნული კანონპროექტი, აბსოლუტურად დაცლილი იმ მექანიზმებისგან, რაც ამერიკულ და თუნდაც რუსულ კანონს აქვს, რადგან ამერიკული და რუსული კანონები იდენტურია და არავინ მოგვატყუოს, რომ რუსული კანონი სულ სხვაა.

**„ქართული კანონი იყო გამოშიგნული ყოველგვარი ღირებულისგან, რაც ამერიკულ კანონშია და რაც იცავს ამერიკას, როგორც სახელმწიფოს. ახალი კანონი უნდა იყოს ისეთი, როგორიც ამერიკულია, ოღონდ უფრო ლიბერალური, მე არ ვარ პირდაპირ ციხეების მომხრე. ვისაც ეხება ამერიკული კანონი, ზუსტად იმ ადამიანებს უნდა შეეხოს საქართველოშიც, უბრალოდ, შედარებით უფრო რბილად“,** — აღნიშნა ნანა კაკაბაძემ.

**მანანა ნოზაძე**



## ბონდო მძინარაშვილი: გააძევეთ ეს ნაძირალა საქართველოდან!



## ნანა კაკაბაძე: ხომ უნდა ვიცოდეთ, ვისგან ფინანსდება ფადი ასლი, ლომჯარია, ენჯეოები?



**მას შემდეგ, რაც საერთაშორისო სავაჭრო პალატის თავმჯდომარე ფადი ასლიმ ქართველი ერი არაეთიკური სიტყვებით მოიხსენია და აღნიშნა, რომ ბიძინა ივანიშვილმა 3,7 მილიონ ქართველზე იძალადა, საზოგადოების ნაწილს აღშფოთების გრძნობა დაეუფლა. საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის წევრი ბონდო მძინარაშვილი პრეზიდენტ ზურაბიშვილისგან მოითხოვს, „გარეწარ ფადი ასლის ჩამოართვას საქართველოს მოქალაქეობა“. ბონდო მძინარაშვილი საქართველოს მთავრობასაც მოუწოდებს, „გააძევეთ ეს ნაძირალა საქართველოდან!“**

რატომ აძლევს ფადი ასლი საკუთარ თავს ასეთი განცხადებების გაკეთების უფლებას, ეს უცნობია, მაგრამ აშკარაა, რომ არაბი ბიზნესმენი ბოლო წლებში პოლიტიკურად გააქტიურებულია.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ფადი ასლი რეკომენდაციებს რეკომენდაციებზე უგზავნიდა ჩვენს ხელისუფლებას, **კახა კალაძისგან** მოითხოვდა, მოსკოვის გამზირისთვის **ზელენსკის** გამზირი ეწოდებინათ.

არაბი ბიზნესმენი ქართველი ერის ხსნის გზასაც გვთავაზობდა და მოითხოვდა, ყოფილ მაღალჩინოსნებს ამნისტია შეხებოდათ, რადგან ეროვნული შერიგება იხსნიდა ჩვენს ქვეყანას.

არც **სააკაშვილის** გამოქომაგებას ივიწყებდა და მთელ მსოფლიოს არწმუნებდა, თითქოს სააკაშვილს საქართველოს მთავრობამ სიკვდილი მიუსაჯა.

ბიძინა ივანიშვილზე საუბარი კი ფადი ასლის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი თემა იყო, ივანიშვილს ფადი ასლი კორუფციაში, შოვინიზმსა და პოლიტიკურ ანგარიშსწორებაში ადანაშაულებდა.

პერიოდულად ფადი ასლის გამონათქვამები არ რჩებოდა საზოგადოების ყურადღების მიღმა, მას ხან „არაბ ჯაყოდ“, ხანაც „არაბ ოსტაპ ბენდერად“ მოიხსენიებდნენ. სააკაშვილის რეჟიმისგან გაწამებული ბიზნესმენები კი იხსენებდნენ, რომ ფადი ასლი მათი წამების და რეკეტის დროს დუმდა. ბიზნესმენი **ვახტანგ ბეგიაშვილი** გაუგონარ ცინიზმად მიიჩნევდა, როცა ბანანების გამყიდველი ფადი ასლი ბიძინა ივანიშვილს მორალს უკითხავდა, დიქტატურის გზას ადგახარო. **„ჩემს ძმას დავით ბეგიაშვილს და ასობით ბიზნესმენს ყველაფერი რომ წაართვეს, ღამის სამ საათზე რომ მიჰყავდათ ნოტარიუსთან და ქონებას ათმობინებდნენ, მაშინ სად იყო ფადი ასლი, ახლა რომ გვევლინება ბიზნესის გულშემატკივრად? ქართველები სტუმართმოყვარე ხალხი ვართ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ფადი ასლისნაირი ჯაყოები თავზე დავისვათ“**, – აცხადებდა ვახტანგ ბეგიაშვილი.

ცალკეული ადამიანები ფიქრობენ, რომ ფადი ასლი საქართველოს ხელისუფლებას აშანტაჟებს. თუმცა იგი ყველას მიმართ უკმაყოფილო არ არის. როგორც ირკვევა, ფადი ასლისაც ჰყავს ფავორიტები ქართულ პოლიტიკაში. ის მიიჩნევს, რომ 2003 წელს საქართველოს ეკონომიკისთვის მაშველი რგოლი **კახა ბენდუქიძე** აღმოჩნდა, რომლის გონივრულმა რეფორმებმა ქვეყნის ეკონომიკა კრახისგან იხსნა.

„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე **ნანა კაკაბაძე** ეჭვობს, რომ ფადი ასლი ზუსტად იმიტომაა ზედმეტად გააქტიურებული და ლანძღავს საქართველოს ხელისუფლებას, რომ ის აგენტია და ვიღაცის დავალებებს ასრულებს. ნანა კაკაბაძის თქმით, სწორედ ამიტომაა საჭირო აგენტების შესახებ კანონის მიღება, რომ გაირკვეს, რა ამოძრავებთ ფადი ასლის მსგავს ადამიანებს.

ნანა კაკაბაძის მოსაზრებით, ამიტომაცაა, რომ ეს კანონი ბევრ ქვეყანაში მოქმედებს და კიდევ ბევრ ქვეყანას უნდა, ამ კანონმა აბსოლუტურად ყველგან იმუშაოს, რადგან გარედან დაფინანსებული ორგანიზაციების მხრიდან საფრთხე ქვეყნის შიგნით იგრძნეს ევროპაშიც. უფრო დაცულმა ქვეყნებმა თუ იგრძნეს ამის საფრთხე, ჩვენ ასეთ დაუცველ ქვეყანას, რომელშიც ორი გადატრიალება მოხდა, რა უფლება გვაქვს, ეს კანონი არ გვქონდეს? ეს კანონი ხომ სახელმწიფოს დაიცავს.

**„სახელმწიფო თუ არ იქნა დაცული, რიგითი მოქალაქე როგორ უნდა დაიცვა გადატრიალებისგან, ომებისგან, გამოწვევებისგან, რაც დღეს არის. შენ თუ აგენტურას მიეცი საშუალება, მაშინ ნებისმიერი მტრული სახელმწიფო მოყვრული სახელმწიფოს ნიღბით მტრობას შეგიქმნის. ხომ უნდა გაიგო, ვინ მტერია, ვინ მოყვარე?**

**ამას სხვანაირად როგორ გაიგებ? ხომ უნდა ვიცოდეთ, ვისგან ფინანსდება ფადი ასლი, ვისგან ფინანსდება ლომჯარია, დღეს რომ ამტვრევს უნივერსიტეტის კარებს, მე მგონი, როცა სწავლობდა, თავის დროზე არ უნახავს უნივერსიტეტი. ვისგან ფინანსდებიან ენჯეოები, ასე ხმალამოღებული რომ იბრძვიან, არ წაიკითხოთ, არ განიხილოთ ეს კანონპროექტიო. მარტო ბოლშევიკურ იარლიყს იყენებენ, ეს კანონპროექტი რუსულიაო. ამ დროს რუსულია მთელი სისხლის სამართლის კოდექსი და არა მარტო სისხლის სამართლის, სამოქალაქო კოდექსშიც ასეა. ჩვენს კანონმდებლობაში 80% რუსულია ისევე, როგორც გერმანიაშიც რუსულია, ეს არის ზოგადი კანონმდებლობა“**, – აცხადებს ნანა კაკაბაძე.

**მანანა ნოზაძე**

# მიშამ ციხიდან აიკლო საქართველოც და უცხოეთიც!

**მსჯავრდებული და ბრალდებული მიხეილ სააკაშვილის ადვოკატები ქართული სასამართლოების განაჩენის (სასჯელის გადავადების არდაკმაყოფილება) სტრასბურგში გასაჩივრებას აღარ ჩქარობენ. ჯერ კიდევ 18 თებერვალს სააკაშვილის ადვოკატმა შალვა ხაჭაპურიძემ განაცხადა, რომ სააკაშვილის საქმის სტრასბურგში გასაჩივრების გადაწყვეტილება ჯერჯერობით განხილვის პროცესშია. იუსტიციის მინისტრის, რატი ბრეგაძის განცხადებით, სააკაშვილის ადვოკატებმა გასულ წელს მიმართეს სტრასბურგის სასამართლოს და საზოგადოებამ ნახა რა შედეგიც დადგა. მისი თქმით, ძირითადი სარჩელიც კი გამოითხოვეს.**

**მიმართავენ თუ არა სტრასბურგის სასამართლოს ეს, რა თქმა უნდა, დაცვის მხარის და ოჯახის გადასაწყვეტია, მაგრამ ფაქტია, რომ სააკაშვილისთვის სასჯელის გადავადებაზე უარის თქმას სტრასბურგში სარჩელის გაგზავნას არ ჩქარობენ.**




სააკაშვილის ადვოკატი **შალვა ხაჭაპურიძე** სტრასბურგში სარჩელის გაგზავნას არ ჩქარობს და ამასთან, სარჩელის გაგზავნა-არგაგზავნის შესახებ საქმის კურსში არ არიან სააკაშვილის სხვა ადვოკატები – **ბექა ბასილია, შოთა ურთმელიძე, გიორგი გელხაური** და **გიორგი ჩივიაშვილი.** თუ სააკაშვილს დაკავების წუთიდან რამდენიმე ადვოკატი იცავდა, დღეს იგი ხაჭაპურიძე-გელბახიანის იმედად დარჩა. არაოფიციალური ინფორმაციით, სააკაშვილის დამცველებს შორის დაპირისპირების მიზეზი გახდა სტრატეგია „სააკაშვილი კვდება“, რომელსაც ავითარებს შალვა ხაჭაპურიძე და რომელიც შედეგზე ორიენტირებული არ აღმოჩნდა. სწორედ ხაჭაპურიძეა ის ადვოკატი, რომელიც ამბობს, რომ სააკაშვილი კვდება, მაგრამ რატომღაც სარჩელის სტრასბურგში გაგზავნას ან ჩქარობს. მოტივი, რატომაც სასამართლოზე დანარჩენი ადვოკატები არ ცხადდებიან, არის კონფლიქტი და შეუთავსებლობა ხაჭაპურიძესთან. ოფიციალურად ამ ინფორმაციას ამ ეტაპზე არ ადასტურებენ, თუმცა ფაქტია, რომ ბოლო რამდენიმე პროცესია სააკაშვილის სასამართლოზე მხოლოდ ხაჭაპურიძე-გელბახიანია წარმოდგენილი.

„სააკაშვილის სიკვდილი“ რომ მითი და პიარის ნაწილია, ამას ადასტურებს 6,7,8 მარტის მოვლენები. მთელი ეს დღეები ისე გავიდა, რომ სააკაშვილის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია დაიხურა. ოჯახმა და დაცვის მხარემ რამდენიმედღიანი ტაიმ-აუტი აიღეს, თავად სააკაშვილი კი ყოველდღიურ რეჟიმში საგანგებო განცხადებით მიმართავდა აქციის მონაწილეებს და საკმაოდ ადეკვატურ წერილებს აგზავნიდა, თუმცა, მას შემდეგ, რაც ქუჩის პროცესები შეწყდა და დაპირისპირებამ ქუჩიდან პარლამენტში გადაინაცვლა, ისევ დადგა დღის წესრიგში სააკაშვილის ჯანმრთელობის საკითხი.

ექსპერტი **თამთა მეგრელიშვილი** აცხადებს, რომ ისინი გამალებით იცავდნენ მიხეილ სააკაშვილის ინტერესებს სამართლებრივ ჭრილში, მაგრამ რეალურად, სააკაშვილის მდგომარეობა სამართლებრივ ჭრილს გასცდა. მისი თქმით, სააკაშვილმა სიმულაციის ეფექტი შემოიტანა პოლიტიკაში, რომელიც არის ერთი სიმულანტი, კანონდამრღვევი და, რომელიც პასუხს აგებს იმ ჩადენილი ქმედებებისთვის, რომლისთვისაც უნდა აგოს პასუხი.

**„ყველა სამართლებრივ და ნორმალურ სახელმწიფოში ადამიანმა ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებების გამო პასუხი უნდა აგოს. მე, უბრალოდ ერთი მენიშნა – ჩემი კოლეგები, ალბათ, არ არიან დარწმუნებული და მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ შეგნებულად არ წაიღეს სტრასბურგის სასამართლოში აღნიშნული ქეისი. ზუსტად იცოდნენ, რომ სააკაშვილის მდგომარეობას სტრასბურგის სასამრთლო ისე არ შეაფასებდა, როგორც ეს მათ სურთად. მდგომარეობა, რომელსაც ისინი პოლიტიკურად ხატავენ, არის აბსოლუტურად განსხვავებული იმ მდგომარეობისგან, რომელშიც სააკაშვილია. ერთია საზოგადოებისთვის სააშკარაოზე გამოყვანილი მიხეილ სააკაშვილი და მეორეა უკვე პენიტენციალურ დაწესებულებაში მყოფი სააკაშვილი.**

**ვხედავდი, რომ რამდენიმე ადვოკატი ჰყავდა და მათ შორის რამდენიმე იყო პროფესიონალი, მაგრამ მათ თუ უარი თქვეს და პრინციპში, აღარც ჩანან, სააკაშვილის თემის გაშუქებისას აღარ არიან წინა პლანზე, ალბათ, იმიტომ რომ, არ უღირთ საკუთარი პროფესიული კომპეტენციის გაფუჭება და დაიცვან კაცი, რომელსაც დასაცავი არაფერი არ აქვს“**, – აცხადებს მეგრელიშვილი.

პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძის** განცხადებით, მოვლენებმა აჩვენა, რომ „მიშა კვდებას“ სტრატეგია შედეგიანი არ აღმოჩნდა არც სააკაშვილის გასათავისუფლებად და არც სასჯელის შემსუბუქებისთვის. მისი თქმით, პოლიტიკოსისთვის წამგებიანია რასაც სააკაშვილი აკეთებს, რომელმაც ციხეში ჯდომისგან აიკლო საქართველო და ახლა მსოფლიოს აკლების სურვილი აქვს.

**„პირიქით, უარესი საქმე გაუკეთეს – მიშა როგორც ფიგურა მოსპეს პოლიტიკურად. წესით, ადამიანთა დიდი ნაწილისთვის სააკაშვილის მიმართ აღქმა ძალიან უნდა შეიცვალოს. ადრე თუ აღიქვამდნენ გმირად, მებრძოლად, იქ პუტინს ებრძოდა, აქ ივანიშვილს და თურმე ყველას ებრძვის, ვინც რაიმეს არღვევს ამ ქვეყანაზე, ახლა ვის მებრძოლობაზეა ლაპარაკი? როგორც თავად ამბობენ, 60 კილოა დემენციის ფონზე და კიდევ პლუს 60-მდე ავადმყოფობა აქვს, ასეთი, ნახევრად ცოცხალი ადამიანი უკვე გმირად არ გამოდგება, შესაცოდად კი.**

**შესაბამისად, ეს სტრატეგია, რომ „მიშა კვდება“ წამგებიანი აღმოჩნდა თვითონ სააკაშვილისთვის და დაცვისთვის, იმიტომ რომ, პოლიტიკურად ძლიერი მიშა უფრო ადვილი დასაცავია, ვიდრე მომაკვდავი. პოლიტიკოსისთვის წამგებიანია რასაც სააკაშვილი აკეთებს, გვარამიაც ზის ციხეში და ხმას არ იღებს. ამან ციხეში ჯდომისგან აიკლო ჯერ საქართველო და ახლა მსოფლიოს აკლებაც უნდა, მაგრამ მოახერხებს თუ არა, არ ვიცი“**, – აღნიშნა რამაზ საყვარელიძემ.

**მართა ლაბაძე**

# საქართველოს მტრებს ხელისუფლების შეცვლაც უნდათ და ქვეყნის ცეცხლის ალში გახვევაც!

თბილისის სააპელაციო სასამართლომ **დავით კეზერაშვილს** თავდაცვის სამინისტროსთვის ზიანის ანაზღაურებისთვის 5 მილიონი ევროს გადახდა დააკისრა. ძებნილ კეზერაშვილს ე.წ. წვრთნების საქმეზე, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამო, დიდი ოდენობით სახელმწიფოს კუთვნილი თანხის გაფლანგვას ედავებოდნენ. მასთან ერთად საქმეზე ბრალდებული იყო თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილი უფროსი **ალექსანდრე ნინუა**.

რაც შეეხება ბრალდების ნაწილს, დავით კეზერაშვილსა და ალექსანდრე ნინუას გენერალური პროკურატურის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სახელმწიფოს დიდი ოდენობით ფულადი თანხების მითვისება3გაფლანგვის ფაქტზე წარედგინათ ბრალი. საქმე ეხებოდა ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული კომპანია GIRWOOD BUSINESS CORP-ის სასარგებლოდ გარკვეული მომსახურების გაწევის მიზნით დიდი ოდენობით თანხის გადარიცხვას, თუმცა სამინისტროს ეს მომსახურება – წვრთნები არ მიუღია.

დავით კეზერაშვილის ადვოკატის **გიორგი მშვენიერაძის** განცხადებით, თავდაცვის ყოფილი მინისტრის მიმართ სამართალწარმოება დაიწყო იმ მიზნით, რომ პრობლემები შეექმნას ტელეკომპანია „ფორმულას“, რომლის დამფუძნებელიც დავით კეზერაშვილია.

**კეზერაშვილი, რომელმაც საქართველო 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ დატოვა, ისრაელის მოქალაქეა, მას პოლიტიკური თავშესაფარი მისცა უნგრეთმა. საქართველო არაა ერთადერთი ქვეყანა, სადაც ოლიგარქის მიმართ სისხლის სამართლებრივი საქმეების წარმოება მიმდინარეობს. კერძოდ, გერმანულ მხარეს სამართლებრივი შეკითხვები აქვს კეზერაშვილთან იმ ქოლცენტრების მუშაობასთან დაკავშირებით, რომელთა მეშვეობით ევროპელი პენსიონერები კეზერაშვილის თაღლითური სქემის მსხვერპლნი გახდნენ. გამოძიება ამ დრომდე მიმდინარეობს. კეზერაშვილი ამ თაღლითური სქემის მთავარი ფიგურანტია და სწორედ ამ თანხებით აფინანსებს ტელეკომპანია „ფორმულას“, ასევე, ის აფინანსებს ქვეყანაში რადიკალურ პროცესებს.**

კეზერაშვილი არაა ერთადერთი ძებნილი ყოფილი მაღალჩინოსანი, რომელიც საქართველოში პროცესების რადიკალიზაციას კურირებს, ასეთია იუსტიციის ყოფილი მინისტრი, უკრაინის გენერალური პროკურორის მრჩეველი, **ზურაბ ადეიშვილი,** რომელსაც პოლიტიკური თავშესაფარი უნგრეთმა მისცა და ამის შემდეგ პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყო უკრაინაში, ისევე როგორც მისმა მოადგილემ დავით საყვარელიძემ. აღსანიშნავია, რომ გაქცეული ყოფილი მაღალჩინოსნების დიდმა ნაწილმა დასავლეთში პოლიტიკური თავშესაფარი მიიღეს. საბერძნეთში პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო კუდ-ის ყოფილმა უფროსმა **დათა ახალაიამ,** ასევე მისმა მოადგილემ **სოსო თოფურიძემ.** საქართველოს მიერ ძებნილი და უმძიმეს დანაშაულში ბრალდებული ყოფილი მაღალჩინოსნები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში არიან გაფანტული და აქტიურად მონაწილეობენ ქვეყანაში პროცესების რადიკალიზაციაში.



პარლამენტის თავმჯდომარის **შალვა პაპუაშვილის** განცხადებით, ყოფილი ხელისუფლების ის წარმომადგენლები, რომელთაც საქართველოში სასჯელი აქვთ მისჯლი, ქვეყანას უნდა გადმოსცენ. მისი თქმით, 2018 წლიდან ჰქონდა სააკაშვილს მისჯილი, თუმცა თავისუფლად გადაადგილდებოდა ევროპაში და ქართულ პოლიტიკაში უკრაინის მოქალაქე იყო ჩართული.

**„სააკაშვილს სხვადასხვა დედაქალაქებში ეპატიჟებოდნენ, ხვდებოდნენ, ჩვენ ვაფრთხილებდით, მათ შორის ჩვენს ევროპელ კოლეგებს, რომ ის რადიკალიზმი, რაც საქართველოში იყო, მიხეილ სააკაშვილის მხრიდან იყო ორკესტრირებული და ის, რომ მისი გადმოცემა არ ხდებოდა საქართველოსთვის, ადამიანის, რომელმაც მკვლელებს ხელი დააფარა და ადამიანი აცემინა, ეს ახალისებდა ჩვენთან რადიკალიზაციას. დღესაც იგივე სიტუაცია გვაქვს, სამწუხაროდ“.**

პარლამენტის თავმჯდომარემ მთავარი აქცენტი გააკეთა დავით კეზერაშვილზე და ზურაბ ადეიშვილზე, თუმცა, ერთია რას ამბობს პაპუაშვილი და მეორეა რეალობა. რეალობა კი ასეთია – მაშინ, როდესაც საქართველოს ხელისუფლება კოჰაბიტაციის პროცესში იყო, ყოფილმა მაღალჩინოსნებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ევროპის ქვეყნებში მიეღოთ პოლიტიკური თავშესაფარი და დღეს, უკვე ღიად მონაწილეობენ პოლიტიკური პროცესების მართვაში. ანალიტიკოსების განცხადებით, საკმაოდ დაგვიანებულია მოთხოვნა ყოფილი მაღალჩინოსნების გადმოცემაზე.

ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** თვლის, რომ პაპუაშვილმა განცხადება ვითარებიდან გამომდინარე გააკეთა, თუ რა როლს თამაშობენ ეს ადამიანები ქვეყანაში სიტუაციის არევაში, მაგრამ ეს იყო განცხადება, განცხადებისთვის.

**„რაც შეეხება საფრთხეებს, ალბათ, ამ ადამიანებისგან გარკვეული საფრთხეები არის. აქვთ მათ რაღაცა რესურსები დარჩენილი, ჰყავთ თავიანთი მომხრეები, ყოფილი ძალოვანი სტუქტურების წარმომადენლები, აქვთ ფინანსური რესურსები, ამ რესურსებით მოახდინეს „ნაცმოძრაობაში“ თავიანთი სასურველი კანდიდატის გაყვანა თავმჯდომარედ, მაგრამ მე არ მგონია, რომ ეს რესურსები იყოს ისეთი დიდი, რომ შეძლონ სერიოზული გადატრიალების მოწყობა და სახელმწიფო რესურსებს რამეთი დაუპირისპირდნენ. მაგრამ მათ გადმოცემაზე განცხადება უფრო პოლიტიკურია, ვიდრე სამართლებრივ ჭრილში შეიძლება განვიხილოთ. არა მგონია საქართველო-უკრაინის დღევანდენი ურთიერთობიდან გამომდინარე, მათ გადმოცემაზე იყოს რაიმე საუბარი“,** – ამბობს **ზაალ ანჯაფარიძე.**

ექსპერტი **მაია ნიკოლეიშვილი** ამბობს, რომ ადეიშვილი, როგორც უფლებათა დამცველი ისე მოღვაწეობს უკრაინაში და უკრაინის ხელისუფლების ოფიციალური დელეგაციის წევრია, რაც დაუშვებულია, რადგან ის არის საქართველოს მიერ ძებნილი პირი. ექსპერტი დარწმუნებულია, რომ მისი ექსტრადირება არ მოხდება და თვლის, რომ განცხადება ძებნილი მაღალჩინოსნების გადმოცემის შესახებ პოლიტიკურია.

**„ჩვენ უკრაინის ხელისუფლებას მეგობრულს ვუწოდებდით და, ფაქტობრივად, იქიდან ხდებოდა მთელი დესტაბილიზაციის მართვა. ახლაც იგივე გრძელდება. უბრალოდ, შეიცვალა ის, რომ უკრაინის დღევანდელი ხელისუფლება ღიად გვემუქრება. საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება და მეორე ფრონტის გახნა არის მათი თვითმიზანი. ზუსტად იგივე დამოკიდებულება აქვთ მოლდოვას მიმართ. ეს ადამიანები, ძირითადად, უკრაინაზე კი არ მუშაობენ, არამედ ანგლოსაქსების იმ გეგმაში ზიან, რომელიც მიზნად ისახავს ჩვენი ტიპის ქვეყნების დესტაბილიზაციას.**

**აქ ბევრად უფრო მაღალი რანგის დესტაბილიზაციის პროცესებია დაგეგმილი და მათ ხელით შესასრულებელი, ვიდრე მარტო საქართველოა. ფაქტობრივად, რეგიონის დესტაბილიზაციაზე მიდის საუბარი. ეს „თამაში“ ბევრად უფრო მაღალი რანგისაა და ეტყობა, ამიტომ გაკეთდა ეს განცხადება. ეს არის ხმამაღალი განცხადება – „თქვენი თამაშის მონაწილე პირები არიან დამნაშავეები და ჩვენ ყველაფერი ვიცით“ – ჩემი აზრით, მხოლოდ პოლიტიკური დატვირთვა აქვს ამ განცხადებას. თუ, სადმე, ვინმეს რომელიღაცა ქვეყანა გადმოგცემს, რომელიც სხვა ბანაკში იქნება, კარგია, მაგრამ უკვე ის ბანაკი, რომელიც საქართველოს და საქართველოს ტიპის ქვეყნებს ფაქტობრივად მტრობს, არ მგონია ასეთი გადაწყვეტილება მიიღონ. მათ აქ არა მარტო ხელისუფლების შეცვლა უნდათ, არამედ ხელისუფლების შეცვლისთანავე ქვეყნის ცეცხლის ალში გახვევა უნდათ და ეს ერთმნიშვნელოვანია“,** – აღნიშნა მაია ნიკოლეიშვილმა.

თამთა ქარჩავა

# „ფიქს თბილისიდან“ ახალ საბაგიროემდე...




**თბილისის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის მორიგი სხდომა 22 მარტს გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ რამდენიმე საგულისყურო განცხადება გააკეთა.**

მისი თქმით, თბილისის მერია მუშაობს აპლიკაციაზე – „ფიქს თბილისი“, სადაც მოქალაქეები დედაქალაქში ინფრასტრუქტურის დაზიანების შესახებ ინფორმაციას ცხელ ხაზზე დარეკვის გარეშე განათავსებენ.

**„ფიქს თბილისი“ – ეს არის სპეციალური აპლიკაცია, რაზეც წვდომა ექნება ყველა მოქალაქეს. იგი იქნება მუნიციპალიტეტსა და მოქალაქეს შორის კომუნიკაციის საშუალება, რომლის მიზანია, დედაქალაქში ინფრასტრუქტურის დაზიანების შესახებ მუნიციპალიტეტისთვის ინფორმაციის მიწოდება ისე, რომ მოქალაქეს არ მოუწიოს ცხელ ხაზზე დარეკვა, ინფორმაცია იყოს უფრო სრულყოფილი და მუნიციპალიტეტმა შეძლოს პრობლემის მარტივად იდენტიფიცირება“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, აპლიკაცია თავდაპირველად გააერთიანებს საგზაო ინფრასტრუქტურის, ხე-მცენარეების, გარე განათებისა და საპარკო ინფრასტრუქტურის დაზიანებების შესახებ ინფორმაციას.

აპლიკაცია პირველი მაისიდან ამოქმედდება, სადაც მოქალაქეები განახლებულ ინფორმაციას მიიღებენ, თუ რა ეტაპზეა მათ მიერ დაფიქსირებული პრობლემის მოგვარება.

**„მოქალაქე შეძლებს, დაადასტუროს დაზიანება, გადაუღოს ფოტო, მიაწეროს მისამართი. აღნიშნული ინფორმაცია ავტომატურ რეჟიმში მიეწოდება შესაბამის საქალაქო სამსახურს, რომლის მხრიდანაც დაიწყება განცხადებაზე რეაგირება, ხოლო ინფორმაციის მომწოდებელი მოქალაქე, ამავე აპლიკაციის საშუალებით, მიიღებს განახლებულ ინფორმაციას, თუ რა ეტაპზეა მის მიერ დაფიქსირებული პრობლემის მოგვარება“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

# ქართული ცივილისტიკის მეტრი

ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ქართველ მოსამართლეს **ლადო ჭანტურიას** დაბადებიდან 60 წელი უსრულდება. სიამოვნებით და გულწრფელი პატივისცემით ვულოცავ საიუბილეო თარიღს და ვუსურვებ წარმატებებს სამშობლოს მსახურებაში.

საქართველოს დამოუკიდებლობის წინარე პერიოდში შეიქმნა მან მტკიცე თეორიული და პრაქტიკული ბაზა იურისპრუდენციის მწვერვალებისკენ სავალ უძნელეს გზაზე. მისი სტუდენტობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩემი დეკანობის ადრინდელ ეტაპს დაემთხვა. მას შემდეგ ყურადღებით ვაკვირდები მისი ნიჭის ელვარებას, აზროვნების სილაღეს, ცხოვრების წესს და ჩემთვის საამაყო მის ყოველ მიღწევას.

უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრებას ლოგიკურად მოჰყვა ასპირანტობა და იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატობა, უნივერსიტეტში მუშაობის დაწყება და სტუდენტობასთან სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა; უმაღლესი სამეცნიერო ხარისხისათვის ნაყოფიერი მუშაობა და სადოქტორო დისერტაციის წარმატებით დაცვა.

ახალგაზრდა პროფესორმა მთელი ძალისხმევა მიმართა განვითარებული ქვეყნების სამართლებრივი სისტემების დოქტრინალური დებულებების ქართულ კერძო სამართალში იმპლემენტაციისაკენ, აშკარად გრძნობდა რა საბაზრო მეურნეობის პრინციპების დანერგვის პროცესში დასავლურ სამართალზე არჩევანის გაკეთების აუცილებლობას. ამიტომ გააქტიურა მან ევროპის, უმეტესად კი – გერმანიის სამეცნიერო ცენტრებთან და უნივერსიტეტებთან შემოქმედებითი კონტაქტები. მაქს პლანკის კერძო სამართლის ინსტიტუტის, გეტინგენის უნივერსიტეტისა და ფონ ჰუმბოლტის ფონდის სამეცნიერო სტიპენდიანტობამ განაპირობა კილისა და ბრემენის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაღრმავება.

ლადო ჭანტურია რამდენიმე იმ საერთაშორისო პროექტის ექსპერტი, კოორდინატორი, თანაავტორი და ხელმძღვანელი გახდა, რომელთა მიზანი იყო აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში კერძო სამართლის რეფორმის განხორციელება, განსაკუთრებული ყურადღება კი საქართველოში ახალი სამეურნეო სისტემის დამკვიდრების ამოცანებით განპირობებულ საკოდიფიკაციო საქმიანობას დაეთმო. პარალელურად საერთაშორისო სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენციების ორგანიზება, ქართული და უცხოური იურიდიული ჟურნალების რედაქტორთა კოლეგიების მუშაობაში ჩართვა, ცნობილ იურისტთა საიუბილეო კრებულების გამოცემა, ქართველ და უცხოელ მეცნიერებს შორის შემოქმედებითი კავშირების განმტკიცებისთვის ზრუნვა მის ჩვეულებრივ საქმიანობად იქცა. შედეგად საერთაშორისო სამართლებრივი საზოგადოებების ყურადღების ცენტრში მოექცა და სხვადასხვა დროს აირჩიეს: შედარებითი სამართლის საერთაშორისო აკადემიის, ყაზახეთის საერთაშორისო არბიტრაჟის; საკორპორაციო სამართლის საერთაშორისო კავშირის; ამერიკის იურისტთა ასოციაციის საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს წევრად და რამდენიმე უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად, მიანიჭეს ჯორჯ შულცის სამეცნიერო პრემია, წლის საუკეთესო საჟურნალო სტატიის ავტორის პრიზი და სამართლის რეფორმატორის წოდება. გერმანიამ კი – უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოთი – სახელმწიფოს წინაშე დამსახურების ჯვრით დააჯილდოვა.

## საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო მასშტაბის იურისტი

**დიდია პროფესორ ლადო ჭანტურიას წვლილი იურიდიული მეცნიერების განვითარებაში. იგი კერძო და საჯარო სამართლის აქტუალურ საკითხებზე ქართულ და უცხოურ ენებზე შექმნილი 250-მდე შრომის ავტორი და ორმოცდაათამდე მონოგრაფიისა და სასწავლო წიგნის რედაქტორია. მისი შრომებიდან ათეულობით მონოგრაფია, სახელმძღვანელო და ფართო საზოგადოებისათვის განკუთვნილი პოპულარული წიგნია. თავისი მნიშვნელობით რომელიმეს გამორჩევა ძნელია, ჩამოთვლა კი სიმრავლის გამო – შეუძლებელი.**

მათი მნიშვნელოვანი ნაწილი წარმატებით იქნა გამოყენებული ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნის პროცესში. საქართველოს კონსტიტუცია, მეწარმეთა შესახებ კანონი და სამოქალაქო კოდექსი, რომელთა მომზადება-მიღებაში მან წონადი მონაწილეობა მიიღო, ის ფუძემდებლური სამართლებრივი აქტებია, რომლებიც საქართველოში კერძო საკუთრების, სამეწარმეო საქმიანობის და ხელშეკრულების თავისუფლების დამკვიდრების საფუძველი გახდა, რამაც საბოლოოდ განსაზღვრა ქვეყნის ევროპული მომავალი. ახალი ეპოქის სამართლებრივ აქტებს მათი ჰერმენევტიკული ხასიათის გამო ისეთი სამეცნიერო-პრაქტიკული ინტერპრეტაცია მოჰყვა, რომელიც ქვეყნისათვის აქამდე უცნობი საზოგადოებრივი ურთიერთობების სწორი სამართლებრივი რეგულირების ორიენტირი გახდა.



**მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი პროფესორმა ლადო ჭანტურიამ პროფ. თედო ნინიძის თანაავტორობით განახორციელა. ის რამდენჯერმე გამოიცა და სამეწარმეო სამართლის სახელმძღვანელოს ფუნქციასაც ასრულებდა. მის საფუძველზე შეიქმნა კერძო სამართლის სპეციალური დარგი – საკორპორაციო სამართალი. პროფესორ ლადო ჭანტურიას, მისი მოწაფეებისა და მიმდევრების მიერ შექმნილი კაპიტალური შრომები ქართული სამეწარმეო სამართლის განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია.**

**სამოქალაქო კოდექსის უნიკალური ექვსტომეულის მომზადებისა და გამოცემის რამდენიმეწლიანი მუშაობის სიმძიმე კი პროფესორ სერგო ჯორბენაძის ნაადრევად გარდაცვალების გამო ძირითადად პროფესორმა ლადო ჭანტურიამ ზიდა. იგი ამ კომენტარების მნიშვნელოვანი ნაწილის ავტორი და სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელია. კომენტარებზე მუშაობისას სრულად გამოვლინდა მისი კომპარატივისტული ნიჭი. შედარებითი მეთოდის გამოყენების საფუძველზე შრომაში უხვად ჩაირთო უცხო ქვეყნების შესაბამისი სამართლებრივი ნორმების ანალიზი. ამაში მას ხელი შეუწყო ძირითადი ევროპული ენების საფუძვლიანმა ცოდნამ. წლების შემდეგ სამოქალაქო კოდექსის ახალი კომენტარებიც პროფესორ ლადო ჭანტურიას მეთაურობით განხორციელდა.**

საბაზრო მეურნეობის შესაბამისმა კანონმდებლობამ საფუძველი დაუდო კერძო სამართლის სისტემის სრულყოფას და მისი ცალკეული დარგების განვითარებას. სამოქალაქო სამართალი, როგორც მეცნიერების დარგი და სასწავლო დისციპლინა, მეტწილად ეფუძნება პროფესორ ლადო ჭანტურიას მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებს, რომლებიც სტუდენტი ახალგაზრდობის სამაგიდო წიგნებად იქცა და დიდ სტიმულს წარმოადგენს ცივილური მეცნიერებისა და პრაქტიკის დაუფლების გზაზე.

პროფესორმა ლადო ჭანტურიამ სერიოზული წარმატებები მოიპოვა პრაქტიკულ საქმიანობაშიც. წლების მანძილზე იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრის მრჩეველი; იუსტიციის საბჭოს წევრი; იუსტიციის მინისტრი; უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე; ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფისა და საქართველოს ეროვნული უშიშროებისა და სამართლებრივი ორგანოების რეფორმის უწყებათაშორისი კომისიის ხელმძღვანელი; საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

**ზემოაღნიშნულის გამო პროფესორი ლადო ჭანტურია კანონზომიერად ითვლება ქართული ცივილისტიკის ერთ-ერთ მთავარ მესაძირკვლედ და მისი შემდგომი განვითარების გარანტად.**

**ამჟამად პროფესორი ლადო ჭანტურია სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არჩეული მოსამართლეა საქართველოდან. ეს მისი სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობის საყოველთაოდ აღიარებისა და საერთაშორისო დონის იურისტად ცნობის დასტურია.**

სასურველია, მისი ამაგი ეროვნულმა აკადემიურმა და სამეცნიერო დაწესებულებებმაც გაითვალისწინონ.

კიდევ ერთხელ ვულოცავ საიუბილეო თარიღს ბატონ ლადოს და ვუსურვებ დიდხანს ჯანმრთელ სიცოცხლეს ქალბატონ დალისთან, გიოსთან და ნუციკოსთან ერთად.

**რომან შენგელია,**

**იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი, საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი**

* * *

**დედაქალაქის მერმა ტაქსის რეფორმის მესამე ეტაპზეც ისაუბრა, რომელიც ძალაში პირველი აპრილიდან შევა. პირველი აპრილიდანვე ამოქმედდება www.taxi.tbilisi.gov.ge-ს განახლებული ვებგვერდი, სადაც ტაქსის ნებართვების გაყიდვა და იჯარით გაცემა იქნება შესაძლებელი.**

ტაქსის რეფორმის მესამე ეტაპის ფარგლებში, A კატეგორიის ტაქსების მძღოლებს საავტობუსო ზოლში მგზავრის აყვანა და ჩამოსმა შეეძლებათ.

კახა კალაძემ მთავრობის სხდომაზე ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც ისაუბრა აღნიშნა, რომ რუსთაველის გამზირისა და მთაწმინდის პარკის დამაკავშირებელი საბაგირო გზის მშენებლობა მიმდინარე წლის ბოლოს დასრულდება.

მისი თქმით, საბაგირო ერთ გზას ოთხ წუთში დაფარავს და საათში, დაახლოებით, 1 100 მგზავრს მოემსახურება.

**„აღნიშნული პროექტის განხორციელება 2021 წელს დავიწყეთ. ვფიქრობ, ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი იქნება ჩვენი ქალაქისთვის, როდესაც აღნიშნული პროექტი დასრულდება. რაც შეეხება მთაწმინდის ფერდს, მიმდინარეობს ახალი სადგურის მშენებლობის სამუშაოები. გარკვეული სირთულეები იყო აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით – ტერიტორიიდან მოგვიწია რამდენიმე ოჯახის გასახლება იმისთვის, რომ სამუშაოები უსაფრთხოდ განხორციელებულიყო და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ, არანაირი საფრთხე არ ყოფილიყო.**

**მთაწმინდის პარკიდან რუსთაველის გამზირის მიმართულებით ჩამოსვლა და პირიქით, შესაძლებელი იქნება ოთხი წუთის განმავლობაში. საბაგირო ერთი საათის განმავლობაში, დაახლოებით, 1 100 მგზავრს მოემსახურება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. სამუშაოები 2023 წლის ბოლოს დასრულდება“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

გარდა ამისა, მთავრობის სხდომაზე აღინიშნა, რომ გმირთა მოედანზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალურ სვეტზე ელექტროსისტემა და განათების მოწყობილობები განახლდა.

თბილისის მერის განცხადებით, სამუშაოები ქვეყანაში მოქმედი სტანდარტებისა და ნორმების შესაბამისად ჩატარდა, რაც დადასტურებულია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით.

საუბრის დასასრულს, დედაქალაქის მერმა საზოგადოებას უწყების კიდევ ერთი დამსახურებული თანამშრომელი ნანა მჭედლიძე წარუდგინა, რომელიც №9 საბავშვო ბაღის საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორია.






### ზურაბ გუმბერიძე:

# ჰეიდარ ალიევმა მოიპოვა მარადისობა აზერბაიჯანელი ხალხის ხსოვნაში, როგორც დამფუძნებელი და მხსნელი სახელმწიფო მოღვაწე, ეროვნული ლიდერი, რომელმაც საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა

**საქართველოს ყოფილი ელჩი აზერბაიჯანში ზურაბ გუმბერიძე ასე ახასიათებს ჰეიდარ ალიევს:**

**– ძალიან ბედნიერი ვარ, რომ გამიმართლა აზერბაიჯანში ელჩად მუშაობა ჰეიდარ ალიევის პრეზიდენტობის დროს. ჰეიდარ ალიევთან თანამშრომლობა დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვდა და ასევე საამაყო იყო. მისგან ბევრი რამ ვისწავლე სახელმწიფოებრიობის, მეზობლობის, მეგობრობის სფეროებში. დღეს მე შემიძლია დიდი პატივისცემით და სიამაყით ვისაუბრო, როგორც ელჩმა, რა გენიალური და გამოცდილი პოლიტიკოსი და პიროვნება იყო ჰეიდარ ალიევი.**

დიპლომატის თქმით, ჰეიდარ ალიევი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტას. ის ყოველთვის მხარს უჭერდა საქართველოს. ამიტომაც ქართველ ხალხს უყვარს და ყოველთვის პატივისცემით იხსენებს ისტორიულ პიროვნებას, გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს და ჭეშმარიტ მეგობარს.

მინდა ხაზგასმით ვთქვა, რომ ჰეიდარ ალიევმა მარადისობა მოიპოვა აზერბაიჯანელი ხალხის მეხსიერებაში, როგორც დამფუძნებელი და მხსნელი სახელმწიფო მოღვაწე, ეროვნული ლიდერი, რომელმაც ხალხის აღიარება დაიმსახურა; როგორც პიროვნება, მას შეეძლო, ყველა პრობლემა თავისი ქვეყნის ინტერესებისთვის დროულად გადაეჭრა, ის ხიბლავდა ადამიანებს კომუნიკაციის დროს თავისი გულწრფელობითა და ქცევით.

არაერთხელ მსმენია მისი ძალიან გულწრფელი სიტყვები საქართველოს შესახებ. ის ყოველთვის გვეხმარებოდა ჩვენს ქვეყანაში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებაში. ის საქართველოს აზერბაიჯანის მეზობელ და მეგობარ ქვეყნად მიიჩნევდა.

**„მახსოვს, რომ 1988 წლის 25 იანვარს ედუარდ შევარდნაძის 70 წლის იუბილე უნდა ყოფილიყო. გავრცელდა „ჭორები“, რომ ჰეიდარ ალიევი საქართველოს საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით კერძო მიწვევით ესტუმრებოდა. ერთ-ერთ ღონისძიებაზე გავბედე და ვეცადე, გამერკვია მისი გეგმები ამის შესახებ. ჰეიდარ ალიევმა ხუმრობით მითხრა: „მე მივდივარ ჩემს მეგობართან, ამჯერად ეს არავისთან არ არის დაკავშირებული, განსაკუთრებით საელჩოსთან“.**

**ჰეიდარ ალიევი საქართველოს მცირე დელეგაციასთან ერთად ეწვია. იგი დაესწრო ე. შევარდნაძის საიუბილეო ღონისძიებას. ისინი დიდი ხნის განმავლობაში უზიარებდნენ წარსულ მოგონებებს. ეს მოვლენა ჰეიდარ ალიევის მეგობრებთან და კოლეგებთან ურთიერთობის ნათელი მაგალითი იყო“,** – განაცხადა დიპლომატმა.

მისი თქმით, იმ წლებში პრეზიდენტებმა ჰეიდარ ალიევმა, ედუარდ შევარდნაძემ და სულეიმან დემირელმა განსაკუთრებული როლი შეასრულეს მრავალი საერთო ეკონომიკური პრობლემის გადაჭრაში. სწორედ ჰეიდარ ალიევმა წამოიწყო და განახორციელა გლობალური ენერგეტიკული და სატრანსპორტო პროექტები კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე და აზერბაიჯანი ევროპაში საიმედო პარტნიორად და რეგიონში წამყვან სახელმწიფოდ აქცია.

ზურაბ გუმბერიძე ამბობს, რომ საქართველო ყოველთვის დარჩება აზერბაიჯანის ყველაზე საიმედო მეგობრად. ჰეიდარ ალიევი კი ყოველთვის მემახსოვრება, როგორც რთული პრობლემების გადაწყვეტაში შესანატრი უნარის მქონე ადამიანი, როგორც დიდი აზერბაიჯანელი. ეს გამორჩეული პიროვნება, რომელიც პირად ურთიერთობაში ძალიან მგრძნობიარე და უბრალო იყო, ასევე იყო პოლიტიკური ფიგურა, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოსთან მეგობრობას და დიდი პატივისცემითა და მოწიწებით ეპყრობოდა ქართველ ხალხს.

**ყოფილმა ელჩმა ბოლოს გვითხრა, რომ დღეს პრეზიდენტი ილჰამ ალიევი აგრძელებს ჰეიდარ ალიევის პოლიტიკურ კურსს. მან აღადგინა აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობა. მე ვიტყოდი, რომ პრეზიდენტი ილჰამ ალიევი არის ლიდერი, რომელიც მთავარ პოლიტიკურ როლს ასრულებს თავისი ლეგენდარული მამის მიერ შექმნილი სახელმწიფოს შემდგომ გაძლიერებაში.**



# „ფაფანაკმა“ „გურჯაანი“ და „შავნაბადა“ შემოსა

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსგან ა(ა)იპ „გურჯაანის მუნიციპალურ კულტურის ცენტრთან“ არსებულ ანსამბლ „გურჯაანსა“ და ა(ა)იპ აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლ „შავნაბადას“ ახალი სასცენო სამოსი გადაეცა. სამოსის გადაცემის ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი და ანსამბლების წევრები დაესწრნენ.**

ანსამბლ „გურჯაანს“ გადაეცა 18 ჩოხა-ახალუხის კომპლექტი, ანსამბლ „შავნაბადას“ კი 16 ჩოხა-ახალუხის კომპლექტი, რომლებიც თავად ანსამბლების საჭიროებებისა და სურვილების მიხედვით დამზადდა.

ახალი სასცენო სამოსი შეკერა ტენდერით შერჩეულმა კომპანია „ფაფანაკმა“, რომელთანაც საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ 2022 წელს 133 360 ლარის ღირებულების ხელშეკრულება გააფორმა. ხელშეკრულების თანახმად, კომპანია „ფაფანაკმა“ სასცენო სამოსი რვა ფოლკლორული ანსამბლისათვის შეკერა: „შავნაბადა“, „ადილეი“, „იალონი“, „მარგალიტი“, „გურჯაანი“, „მთიები“, ქ. ინეგოლის ანსამბლი (თურქეთის რესპუბლიკა) და „სათანაო“.

„ანსამბლი „გურჯაანი“ 55 წელზე მეტია, ემსახურება ქართული ტრადიციული მუსიკის (გალობა და ხალხური სიმღერა) განვითარებასა და პოპულარიზაციას. ამ ხნის განმავლობაში ანსამბლმა არაერთი ნიჭიერი თაობა აღზარდა, გამართა მრავალი წარმატებული საკონცერტო ტურნე როგორც საქართველოში, ისე – უცხოეთში (ბულგარეთი, უნგრეთი, ესპანეთი, საბერძნეთი, ჩეხეთი, უკრაინა და სხვა), ჩაწერა რამდენიმე ალბომი ქართული ხალხური სიმღერების საუკეთესო ნიმუშებით.

ანსამბლი „შავნაბადა“ შეიქმნა 2005 წელს. ანსამბლის რეპერტუარშია ქართული ხალხური სიმღერები, ინსტრუმენტული და საეკლესიო მუსიკა. „შავნაბადამ“ გამოსცა ცხრა აუდიოალბომი, რომელთაგან სამი ქართული ტრადიციული საგალობლების შემსწავლელი გამოცემაა და უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით საქართველოში უფასოდ ვრცელდება. ანსამბლი მუდმივად მოგზაურობს სხვადასხვა ქვეყანაში, მართავს კონცერტებს, სიმღერისა და გალობის მასტერკლასებს და მონაწილეობს ფესტივალებში.



მთელ საქართველოში ჩატარებული ექსპედიციების შედეგად ანსამბლმა აღადგინა არაერთი ხალხური სიმღერა თუ საგალობელი. განსაკუთრებით აღსანიშნავია აფხაზური ფოლკლორული ნიმუშებისა და აფხაზეთის უხუცესთა ანსამბლის – „ნართას“ რეპერტუარის აღდგენა. ანსამბლი მუშაობს მეგრულ-აფხაზური სიმღერების შემსწავლელი ჩანაწერების გამოცემაზეც.

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ 2021 წლის დეკემბერში გამოყო 197 999 ლარი და გამოცხადდა პირველი ტენდერი. სასცენო სამოსი 2022 წლის პირველ ნახევარში 12 ანსამბლისთვის შეიკერა (70 კაბისა და 277 ჩოხის კომპლექტის დამზადება). რაც შეეხება 2023 წელს, სასცენო სამოსის დასამზადებლად 150 000 ლარია გამოყოფილი და მოთხოვნა 20-ზე მეტ ანსამბლს აქვს წარმოდგენილი.**



# ჩუტყვავილას აფეთქება

## როცა ვერც ვაქცინას პოულობ და ვერც პასუხს ჯანდაცვის უწყებებისგან!

**საქართველოში ჩუტყვავილას შემთხვევათა მატება ინფექციონისტებმა უკვე შეაფასეს აფეთქებად. საგულისხმოა, რომ თუკი წინა წლებში ინფექცია ძირითადად მცირე ასაკის მოსახლეობაში იყო გავრცელებული, ბოლო პერიოდის დაკვირვებით, გაზრდილია პაციენტთა ასაკიც.**

**ვირუსული ინფექციის გავრცელების ფონზე, მოსახლეობის ნაწილი ჩუტყვავილას ვაქცინის გეგმიური აცრების ეროვნული კალენდრის ნუსხაში დამატებას ითხოვს. იმის გამო, რომ ჩუტყვავილას ვაქცინაცია არასდროს ყოფილა გეგმიური აცრების კალენდარში, ქვეყანაში რეგისტრირებული ჩუტყვავილას ვაქცინა (VZV) მთავრობას არ შემოაქვს. შესაბამისად, ინფიცირების თავიდან ასაცილებლად, მშობლებს უწევთ, საკუთარი ძალებით მოიძიონ ვაქცინა სხვადასხვა კომერციულ ქსელში. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ვაქცინის პოვნა მხოლოდ უიშვიათეს შემთხვევაშია შესაძლებელი და მისი ფასი დაახლოებით, 180-დან 250 ლარამდე მერყეობს.**

### ორთვიანი ბრძოლა ჩუტყვავილასთან

**ნათია ამირიძე ორი თვე ებრძოდა ჩუტყვავილას. უფრო ზუსტად, ნათია ორი თვის განმავლობაში ცდილობდა გამოეჯანმრთელებინა ვირუსული ინფექციისგან სამი შვილი და ქმარი.**

ყველაფერი დეკემბერში დაიწყო. როცა მისი 9 წლის შვილი ჩუტყვავილით სკოლაში დაინფიცირდა. უკვე მოგვიანებით, ინფექცია ჯერ 4 წლის ძმას გადაედო, შემდეგ ერთი წლის ძმას. სულ ბოლოს კი 40 წლის მამას. ძმებმა ინფექცია იოლ ფორმებში გადაიტანეს, თუმცა, 9 წლის გოგოს და მის მამას ჩუტყვავილა გაურთულდათ:

**„ჩემს გოგოს ანტივირუსული მკურნალობაც კი დასჭირდა, საკმაოდ რთული პრეპარატით, რაც ნამდვილად არ იყო სახარბიელო, მაგრამ პედიატრმა მიიღო ეს გადაწყვეტილება, რადგან საკმაოდ გაურთულდა ინფექცია. ჰქონდა მაღალი სიცხე, გამონაყარი მთელ სხეულზე. ჩუტყვავილას აფეთქების ფონზე, პრეპარატის დეფიციტიც შეიქმნა. რეგიონებში გვიწევდა მისი მოძიება. სულ ბოლოს ჩემი მეუღლე დაინფიცირდა. ინფექცია ძალიან რთულ ფორმებში წავიდა. მხოლოდ იმიტომ არ გადავიყვანეთ კლინიკაში, რომ ოჯახის წევრები გვყავს ექიმები და მათი მეთვალყურეობის ქვეშ იყო. საბოლოოდ, ამ ინფექციას მთელი ოჯახი ორი თვის განმავლობაში ვებრძოდით“.**

### ვინ სად და როგორ ეძებს ვაქცინას?

ჩუტყვავილას გადაურჩა ნათია ამირიძის უფროსი, 14 წლის შვილი. მიღებული ნეგატიური გამოცდილების გათვალისწინებით, ნათიას უნდა, რომ შვილს ჩუტყვავილას ვაქცინაცია ჩაუტაროს, თუმცა, ვაქცინას ამ დრომდე ვერსად მიაგნო:

**„ყველგან დავრეკე, ყველა კლინიკაში, დისტრიბუტორებთან, ვაქცინა არსად არ არის. თუკი აცრების ეროვნულ კალენდარში არ ზის ჩუტყვავილას ვაქცინაცია, იქნებ ის მაინც მოხერხდეს, რომ მსურველებისთვის ვაქცინების გარკვეული მარაგი არსებობდეს ქვეყანაში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ, სამწუხაროდ, მწირი ინფორმაციაა მოსახლეობაში, როგორ უნდა ავარიდოთ სხვებს ინფიცირება. არ ვიცავთ სავალდებულო წესებს, როგორც კი ბავშვს სიცხე დაუწევს, თუნდაც გამონაყარი ჰქონდეს, სკოლაში უშვებენ. ამანაც გამოიწვია ეს აფეთქება. ამიტომ ვაქცინა მაინც შემოიტანონ ქვეყანაში, რომ ვისაც სურვილი აქვს, ავცრათ ბავშვები“.**

ნათიას მსგავსად სხვა ბევრი მშობელი ეძებს ჩუტყვავილას საწინააღმდეგო ვაქცინას. ვაქცინას ეძებდა ცოტა ხნის წინ ქეთიც, თუმცა, სანამ იპოვა, მის გოგოს ჩუტყვავილაც შეხვდა. ქეთი თვლის, რომ ჩუტყვავილას ვაქცინა გეგმიური აცრების კალენდარში უნდა შედიოდეს:

**„4 წლის იყო ჩემი შვილი ძებნა რომ დავიწყე, უნდა შეგვეკვეთა და ჩამოიტანდნენ, ვეღარ მოვასწარით, დაინფიცირდა. სავალდებულოთა ნუსხაში უნდა იყოს აუცილებლად. 5 წლის იყო ბავშვი, გერმანიაში გვქონდა ვიზიტი პედიატრთან, ჩუტყვავილას და მენინგოკოქცემიის აცრა გაგვიხაზა, ბავშვი უკვე უნდა იყოს აცრილი და არ არისო. ჩუტყვავილა მაშინ უკვე მოხდილი ჰქონდა. ვაქცინაციის საერთაშორისო პასპორტის ბოლო გვერდზე, გარდა გეგმიური აცრებისა, ასაკების მიხედვით გვიწერია სარეკომენდაციო აცრებიც. კარგი იქნებოდა, ჩვენთანაც იყოს მსგავსი რეკომენდაციები მაინც“.**

მეორე წელია, პერიოდულად რეკავს კლინიკებში და ეძებს ჩუტყვავილას ვაქცინას შვილისთვის ჟანა ჩიქოვანი, თუმცა, უშედეგოდ:

**„ახლა მინდოდა გამერკვია, რამდენად შესაძლებელია, რომ გავერთიანდეთ, წინასწარ გადავიხადოთ ფული და ასე მაინც შემოიტანონ კომპანიებმა. მგონი, შემთხვევათა რაოდენობით წყდება აცრის გეგმიურ კალენდარში ჩასმის საკითხი და თუ ეს მართლაც ასეა, დავიჯერო, იმდენად ცოტა შემთხვევა გვაქვს ქვეყანაში, რომ არ გვჭირდება?“**

ვისაც გაუმართლა და ჩუტყვავილას ვაქცინას მიაგნო, მასში საკმაოდ მაღალი თანხის გადახდა მოუწია. მათ შორის იყო ნინო სუქნიძე:

**„შარშან, ჩემი სურვილის და დიდი მონდომების შედეგად „მივასწარი“ ჟორდანიაში, აბაშიძეზე და გავუკეთე 14 წლის შვილს. აუცილებლად უნდა იყოს ქვეყანაში ვაქცინა, როგორც მინიმუმ მსურველთათვის (თუ გეგმიურ კალენდარში არ ჩაჯდება), ყველა ამ ვაქცინას ეძებს ბოლო პერიოდში. როგორც მახსოვს 200 ლარამდე გადავიხადე“.**

გაცილებით ძვირი დაუჯდა ვაქცინის შეძენა შარშან თამარ კაციტაძეს:

**„2 წლის იყო სანდრო, პირველი დოზით რომ ავცერი „ევექსში“, 200 ლარი გადავიხადე. შემდეგ დოზას ვეძებდი ერთი წელი და ბოლოს ჟორდანიაში მივაკვლიე შარშან, უკვე 270 ლარად, თუ სწორად მახსოვს“.**

მშობლების ჯგუფში დასმულ „რადიო თავისუფლების“ კითხვას, ფიქრობთ თუ არა, რომ ჩუტყვავილას ვაქცინაცია გეგმური აცრების კალენდარში უნდა შედიოდეს, 20-ზე მეტმა მშობელმა უპასუხა. მათი აბსოლუტური უმრავლესობა თვლის, რომ ვაქცინა აცრების კალენდარს უნდა დაემატოს.

### რას ამბობენ ინფექციონისტები საქართველოში?

დაავადებათა კონტროლის ცენტრის განმარტების თანახმად, ჩუტყვავილა მწვავე ვირუსული ინფექციური დაავადებაა, რომელიც ძირითადად მიმდინარეობს სუსტად გამოხატული ინტოქსიკაციით, ტემპერატურის ზომიერი მატებით, კანსა და ლორწოვან გარსებზე თანამიმდევრული, ტიპიური ლაქოვან-ბუშტუკოვანი გამონაყარით.

ასევე დაავადებათა კონტროლის ცენტრის თანახმად, ინფექციის წყარო შესაძლოა იყოს ჩუტყვავილათი დაავადებული ადამიანი გამონაყარის დაწყებამდე 2 დღით ადრე და გამონაყარიდან 7 დღის განმავლობაში.

**ჩუტყვავილა ძალიან მარტივად და სწრაფად ვრცელდება, განსაკუთრებით დახურული სივრცის პირობებსა და თავშეყრის ადგილებში. მათ შორის, ინფიცირების მაღალი რისკის ქვეშ არიან საბავშვო ბაღებისა და სკოლის ასაკის მოზარდები. ინკუბაციის პერიოდი, ანუ ინფექციის გამოვლენის პერიოდი შეადგენს 7-21 დღეს.**

მიუხედავად იმისა, რომ ჩუტყვავილას შემთხვევების უმეტესობა ძირითადად მსუბუქად ან საშუალო სიმძიმით მიმდინარეობს და საქართველოში რეგისტრირებულ შემთხვევათა ძირითადი ნაწილი ამბულატორიულია, რიგ შემთხვევებში გვხვდება გართულებებიც, განსაკუთრებით მოზრდილ ასაკში და სუსტი იმუნური სისტემის მქონე პაციენტებში. ინფექციონისტი მაია ბუწაშვილი გვეუბნება, რომ ჩუტყვავილას გართულებებს შორისაა ვირუსული პნევმონია და ენცეფალიტი.

ჩუტყვავილას ერთ-ერთი გართულებაა ასევე ბაქტერიული ინფექციაც. სწორედ ამიტომ, მისი თქმით, აუცილებელია, რომ მაქსიმალური ყურადღება დაეთმოს პაციენტების ჰიგიენას:

**„არსებობს მითი, რომ ამ ინფექციის დროს დაბანა არ შეიძლება, იმის გამო, რომ ადამიანები არ იბანენ, ძალიან ხშირია გამონაყარის ჩირქოვანი გართულებები, რადგან ვირუსულ დაზიანებებს, გამონაყარს, ძალიან ადვილად შეიძლება დაერთოს ბაქტერიული ინფექცია და შემდეგ უკვე ანტიბიოტიკოთერაპიის დაწყებაა საჭირო. განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ბაქტერიული გართულება მოზრდილებში“.**

კიდევ ერთი შეცდომა, რასაც ჩუტყვავილათი დაავადებული პაციენტების სამკურნალოდ გამოიყენებენ, მაია ბუწაშვილის თქმით, ეს არის, ე.წ. ბრილიანტის მწვანე:

**„მისი, როგორც ანტისეპტიკის გამოყენება მხოლოდ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში გვხვდება. სინამდვილეში, არანაირად არ არის საჭირო ადამიანის მწვანედ დაწინწკვლა. გამონაყარზე არაფრის წასმა არ არის საჭირო. რამდენადაც შესაძლებელია, გამონაყარი უნდა იყოს ღიად, მჭიდრო და ხელოვნური ტანსაცმლის ზეწოლის გარეშე. ასევე ყურადღებით სჭირდება დათვალიერება გამონაყარს, ხომ არ არის ჩირქოვანი გართულებები“.**

მაია ბუწაშვილს მიაჩნია, რომ ჩუტყვავილას აცრა აუცილებლად უნდა შედიოდეს გეგმიური ვაქცინაციის კალენდარში:

**„ჩვენთან იყო სტერეოტიპი, რომ ჩუტყვავილა მარტივი ინფექციაა და სჯობს, ბავშვმა მოიხადოს. არსებობს ასეთი მახინჯი მიდგომაც, ბავშვები სპეციალურად შეჰყავთ კონტაქტში ინფიცირებულთან, რომ გადაედოს და ინფექცია მოიხადოს. მაგრამ აქვე დავსვამ კითხვას, რატომ უნდა მოიხადოს? ე.წ. მარტივმა ჩუტყვავილამაც კი ბავშვს რამდენიმე დღის განმავლობაში შეიძლება შეუქმნას პრობლემა, ჰქონდეს მაღალი ცხელება, დისკომფორტი, ქავილი, შემდეგ ნაწიბურები“.**

ჩუტყვავილა განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს ორსულთათვის. მაია ბუწაშვილს დღეს ჩუტყვავილათი ინფიცირებული რამდენიმე ორსული პაციენტი ჰყავს. ის რეკომენდაციას აძლევს ორსულებს, რომლებსაც არც ჩუტყვავილა აქვთ გადატანილი და არც აცრილები არიან, მოერიდონ ისეთ დაწესებულებებს, სადაც ბავშვები იყრიან თავს:

**„ისე დაემთხვა, რომ რამდენიმე ორსული პაციენტი მყავს, რომლებიც საბავშვო ბაღებსა და სკოლებში მუშაობენ და იქ დაინფიცირდნენ. ახლა, როდესაც აფეთქება გვაქვს, ძალიან ადვილია ინფიცირება და ორსულები მაქსიმალურად უნდა მოერიდონ მსგავს დაწესებულებებს. განსაკუთრებით პრობლემურია ჩუტყვავილა ორსულებისთვის ბოლო ტრიმესტრში. რაც შეეხება ნაყოფს, ნაყოფისთვის საფრთხეს წარმოადგენს ჩუტყვავილა ორსულობის 20 კვირამდე პერიოდში“.**

რეკომენდაციის თანახმად, ჩუტყვავილას ვაქცინა ორ დოზად კეთდება:

- **ვაქცინის პირველი დოზა რეკომენდებულია 12-დან 15 თვემდე ასაკის ბავშვებში. მეორე დოზა კი 4-დან 6 წლამდე ბავშვებში.**
- **13 წელს ზევით პირებმა, რომლებსაც არც ჩუტყვავილას ვაქცინაცია ჩაუტარებიათ და არც ინფექცია გადაუტანიათ, ორი დოზა ვაქცინა 28-დღიანი ინტერვალით უნდა გაიკეთონ.**

ხომ არ გეგმავს საქართველო ჩუტყვავილას ვაქცინის გეგმიური აცრების კალენდარში შეტანას? „რადიო თავისუფლება“ ამ კითხვაზე პასუხის მოძიებას მთელი დღის განმავლობაში ცდილობდა ჯანდაცვის სამინისტროსგან და დაავადებათა კონტროლის ცენტრისგან. თუმცა, კითხვაზე პასუხი ვერ მივიღეთ.

**ნინო თარხნიშვილი,**
„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი

## ჯანდაცვის სამინისტრო: ონკოლოგიურ მედიკამენტებზე კომპანიების ნაწილმა ფასები ხელოვნურად მნიშვნელოვნად გაზარდა!

**წინასწარი შეფასებით, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ფარმაცევტულ კომპანიებს შორის არაკეთილსინდისიერ შეთანხმებას და დომინირებული მდგომარეობის არასათანადოდ გამოყენების ფაქტს,** – ამის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განცხადებაშია ნათქვამი.

უწყების ცნობით, ონკოლოგიური დანიშნულების ძვირად ღირებულ მედიკამენტებზე კომპანიების ნაწილმა ფასები ხელოვნურად, მნიშვნელოვნად გაზარდა.

მედიკამენტზე რეფერენტული ფასების ამოქმედების შემდეგ, ცალკეული ფარმაცევტული კომპანიების მხრიდან მორიგი არაკეთილსინდისიერი ქმედებები ფიქსირდება. ამჯერად საქმე ეხება ონკოლოგიური დანიშნულების ძვირადღირებულ მედიკამენტებს, რომლებზეც რეფერენტული ფასი არ არის დაწესებული და რომლებიც სახელმწიფოს მიერ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში ფინანსდება.

**„საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, ქიმიო-სხივური ჰორმონოთერაპიისთვის ერთ ბენეფიციარზე ყოველწლიურად 25 000 ლარი გამოიყოფა, ხელოვნურად გაძვირებული წამლების შედეგად კი ონკოლოგიურ პაციენტებს მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა ეზღუდებათ.**

**სამწუხაროა, რომ ცალკეული ფარმაცევტული კომპანიების მხრიდან ისევ გრძელდება მედიკამენტების ფასების ხელოვნურად ზრდა. ჯანდაცვის სამინისტროს მიერ არაერთხელ გაცხადდა, რომ მიუღებელია წამლების ფასის ხელოვნური ზრდა და თითოეულ დარღვევაზე უწყებას ექნება მკაცრი რეაგირება“!**



# BBC: რით ემუქრება ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ორდერი პუტინს?

## რას ამბობენ ექსპერტები?

**ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ ვლადიმერ პუტინის დაკავების ორდერი გასცა. არის თუ არა ეს გადაწყვეტილება კანონიერი და რა საფრთხე ემუქრება რუსეთის პრეზიდენტს? — ამის შესახებ BBC კოპენჰაგენის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ექსპერტებს — გლებ ბოგუშსა და კევინ იონ ჰელერს ესაუბრა.**

**— რამდენად შეესაბამება ჰააგის სასამართლოს ორდერი რუსეთის მოქმედი პრეზიდენტის იმუნიტეტს?**

— სამართლებრივი თვალსაზრისით, აღნიშნული ორდერის გაცემაში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არანაირი დაბრკოლება არ ჰქონდა. შესაბამისად, სასამართლოს წევრი ქვეყნები ვალდებულნი არიან, ორდერი შეასრულონ. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ პუტინი მათ ტერიტორიაზე აღმოჩნდება, ის ჰააგის სასამართლოს უნდა გადასცენ. თუმცა სამართლებრივი ვალდებულებები ერთია, სახელმწიფოების ქმედებები კი შეიძლება განსხვავებული იყოს, — ამბობენ ექსპერტები.

მსგავს საქმეებზე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პოზიცია ადრე ჩამოყალიბებული იყო სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებაში, რომელიც სუდანის მაშინდელ პრეზიდენტს, ომარ ალ-ბაშირს ეხებოდა. ეს უკანასკნელი მასობრივ მკვლელობებში იყო ბრალდებული. აღნიშნული პოზიციის მიხედვით, სახელმწიფოს მეთაურს საერთაშორისო სასამართლოს წინაშე იმუნიტეტი არ აქვს, ცალკეულ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის საკითხები კი მათ თავად უნდა გადაწყვიტონ.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ფარგლებში სახელმწიფოს მეთაურს აქვს პირადი იმუნიტეტი, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვა სახელმწიფო მას ვერ დააპატიმრებს, სანამ ის თანამდებობაზეა ან ამ პოსტზეა აღიარებული. მაშასადამე, ეს ყოველთვის დროის საკითხია და სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულება ახლა უკვე რთულად შესაძლებელია.

**— თუ სახელმწიფოს მოქმედი მეთაური ჩადის ქვეყანაში, რომელსაც, ერთი მხრივ, აქვს ვალდებულებები სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინაშე და მეორე მხრივ — იმუნიტეტთან მიმართებით, რა უნდა გააკეთოს „მასპინძელი" ქვეყნის ხელისუფლებამ?**

— ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული. სახელმწიფოს მოქმედი მეთაურის ექსტრადიციის პრეცედენტები არ არსებობს, თუმცა ჰააგის სასამართლოს მათი დაკავების ორდერები გაცემული აქვს. მაგრამ იყო ორი შემთხვევა, როდესაც ეჭვმიტანილები სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინაშე ნებაყოფლობით გამოცხადდნენ. ესენი იყვნენ კენიის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი. "ასე რომ, პუტინს, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ეჭვმიტანილს, აქვს შესაძლებლობა, სასამართლოში ნებაყოფლობით გამოცხადდეს. ეს არ არის უფრო ფანტასტიკური ვერსია, ვიდრე მისი დაკავების პერსპექტივა", — განაცხადა ბოგუშმა.

**— მართალია თუ არა, რომ თუ პუტინი დაესწრება საერთაშორისო ფორუმს ქვეყანაში, რომელიც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას აღიარებს, მას არ დააპატიმრებენ?**

— ამას თავად სახელმწიფო გადაწყვეტს. რომის სტატუტის წევრები, რომლებიც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს აღიარებენ (მაგალითად, ტაჯიკეთი, სადაც რუსული თვითმფრინავები ხშირად დაფრინავენ), ვალდებულნი არიან, შეასრულონ ორდერი — დააკავონ ეჭვმიტანილი და გადასცენ სასამართლოში. თუმცა, თავად ჰააგის სასამართლოს არ აქვს არანაირი საშუალება, რომ აიძულოს სახელმწიფო, ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს.

ამასთანავე, პუტინისთვის რისკები ჯერ კიდევ არსებობს, რადგან ქვეყანას აქვს ვალდებულება, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ორდერი შეასრულოს. ამასთან, არსებობს განსხვავებული მაგალითები. კერძოდ, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ სუდანის იმდროინდელი პრეზიდენტის, ომარ ალ-ბაშირის დაპატიმრების ორდერი კი გამოსცა, მაგრამ ის არავის დაუკავებია.

აშკარაა, რომ პუტინის დაპატიმრებაც ნაკლებად სავარაუდოა და ნაკლებად სავარაუდოა ისიც, რომ ის თვითონ ჩავიდეს ასეთ ქვეყანაში. თუმცა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, რომის სტატუტის წევრი სახელმწიფოს ხელისუფლება ვალდებულია, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან ითანამშრომლოს.

**— რუსეთი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არ ცნობს. მაშ, როგორ შეიძლება მისი წარმომადგენლის პასუხისგებაში მიცემა?**

— იმაში ხომ არავის ეპარება ეჭვი, რომ, მაგალითად, რუსეთში შესაძლებელია ნიდერლანდების მოქალაქის დაკავება, რომელიც ადგილობრივი ორგანოების მიერ არის ეჭვმიტანილი? — სვამს კითხვას ბოგუში. თუ ერთ სახელმწიფოს აქვს ასეთი უფლება, იგივეს გაკეთება შეუძლია რომის სტატუტის 123 წევრ სახელმწიფოს, რომელთაც უკრაინამ თავისი იურისდიქცია გადასცა — მიიჩნევს ექსპერტი.

ამ შემთხვევაში, დანაშაული ჩადენილია უკრაინის ტერიტორიაზე და უკრაინას შეუძლია გასამართლება. ამასთან, უკრაინამ ნებაყოფლობით, საკუთარი ინიციატივით, თავისი ძალა და კომპეტენცია საერთაშორისო სასამართლოს გადასცა. ამისათვის ჰააგის სასამართლოს წევრობა საჭირო არ არის.

**— მაშინ რა აზრი აქვს ახლა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ორდერს?**

— სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ამ გადაწყვეტილების მნიშვნელობა არ არის იმის ალბათობა, რომ პუტინი სასამართლოში მოხვდება. ეს უფრო ამ გადაწყვეტილების სიმბოლიზმს ეხება, — ამბობს ჰელერი. ცხადია, უახლოეს მომავალში პუტინის დაკავების პერსპექტივები უკიდურესად მოჩვენებითია. თუ ის ეწვევა ქვეყნებს, მაშინ ეს იქნება მხოლოდ „მეგობრული" სახელმწიფოები, რომლებიც მას საერთაშორისო სასამართლოს არ გადასცემენ. თუმცა, მისი გადაადგილება მთელ მსოფლიოში ბევრად უფრო გართულდება, ვიდრე — ახლა, — თვლის ჰელერი. **„სახელმწიფოს მეთაურის დაპატიმრების ორდერის გაცემა გაბედული ნაბიჯია, რომელსაც თავისი შედეგები ექნება",** — ამბობს ექსპერტი. **„ვფიქრობ, პუტინს ექნება განდევნილის სტატუსი, ყოველ შემთხვევაში — დასავლეთის ქვეყნებს შორის. ამასთანავე, ამ ორდერს შეუძლია გავლენა იქონიოს სამხრეთზე, რომელიც შეიძლება პუტინთან საქმის წარმოებაზე დაფიქრდეს",** — დასძენს ჰელერი.

**„იმუნიტეტი დაუსჯელობასთან არ უნდა გაიგივდეს, არ უნდა ჩაითვალოს, რომ ეს (პრეზიდენტს) ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან",** — ხაზს უსვამს ბოგუში. **„არსებობს მხოლოდ პროცედურული კონფლიქტი, რომელიც იმუნიტეტსა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციასთან არის დაკავშირებული. თუმცა, არსებობს საერთაშორისო დანაშაულების უნივერსალური აკრძალვა. საერთაშორისო სასამართლო არის უბრალოდ კაცობრიობის აგენტი, რომელიც ამ ბერკეტების გამოყენებით დევნის მათ, ვინც ძირითად ნორმებს დაარღვევს. იმუნიტეტი ადამიანს მათი ქმედებებისგან არ აშორებს",** — განმარტავს ექსპერტი.

## ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-ს

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 17 მარტის №1-1/105 ბრძანების შესაბამისად

საქართველოს მთავრობის ენერგეტიკული პოლიტიკის ფარგლებში, ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" ახორციელებს 220 კვ ელექტროგადამცემი ხაზის „ალავერდი"-ს რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტს, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 17 თებერვლის 1-1/42 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს გადამცემის ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის" შემადგენელ ნაწილს.

ზემოაღნიშნული პროექტის დანიშნულებაა „გარდაბნის თბოსადგური-2"-ის ქსელთან მიერთების დამატებითი წყაროს უზრუნველყოფა, კერძოდ „გარდაბნის თბოსადგური-2"-ის ქსელთან მიერთებისათვის განხორციელდა ეგხ „ალავერდი"-ს გაჭრა და გაორჯაჭვიანება ქ/ს გარდაბნის მხრიდან, ხოლო მეორე მხარე შეიჭრება ქ/ს „მარნეულში", რითიც გაიზრდება თბოსადგურის ქსელთან მიერთების საიმედოობა, აგრეთვე გაძლიერდება თბილისის გარშემო არსებული ქსელი (მარნეული-გარდაბნის კვანძი). ამდენად, პროექტს გააჩნია სახელმწიფოებრივი და სოციალური დატვირთვა და მის წარმატებით განხორციელებას მნიშვნელოვანი როლი აქვს საქართველოს ენერგოსისტემის პერსპექტიული განვითარებისა და გაძლიერებისათვის.

პროექტის ფარგლებში, ეგხ-ის ანძის პოლიგონის ტერიტორიაზე, პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, წარმოიშვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შპს „M.B. INTERNATIONA "-ის (ს/ნ 406083198) საკუთრებაში არსებული, მარნეულის მუნიციპალიტეტის, სოფელ აზიზკენდში მდებარე 138 736.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: N83.03.16.502) ნაწილის, ჯამში 110.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გამოსყიდვის აუცილებლობა:

აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეს წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა დასახელებული პროექტის განხორციელების ფარგლებში მოქცეული მიწის ნაკვეთის ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, შეფსების ანგარიშით განსაზღვრული ღირებულების (საკომპენსაციო თანხის) ანაზღაურების პირობით. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეს მიეწოდა ინფორმაცია, რომ მისი უარის შემთხვევაში, „სსე" იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და 220 კვ ეგხ "ალავერდი"-ს რეკონსტრუქციის პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულ მისი საკუთრების ნაწილზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით, მიმართავდა კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს.

გამომდინარე იქიდან, რომ მოცემულ შემთხვევაში ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა მესაკუთრესთან, ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით საკითხის განმხილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 25 მარტის 1-1/159 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველი კომისიის მიერ.

2023 წლის 17 მარტს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის **1-1/105 ბრძანება** „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის" ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე", რომლითაც **ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა „სსე"** და მას ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა შემდეგ ქონებაზე:

**1.** შპს „M.B. INTERNATIONAL"-ის (ს/ნ 406083198) საკუთრებაში არსებულ, მარნეულის მუნიციპალიტეტის, სოფელ აზიზკენდში მდებარე 138 736.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის **(ს/კ: 83.03.16.502)** ნაწილზე, ჯამში **110.00 კვ.მ.-ზე.**

პროექტისთვის საჭირო მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად კანონმდებლობით განსაზღვრული მეორე ეტაპის გავლის უზრუნველყოფის მიზნით, „სსე" უახლოეს ხანებში დადგენილი წესის შესაბამისად მიმართავს სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობება სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლოში საქმის განხილვის თარიღი.

# ა.ა.ი.პ. საქართველოს დიაბეტის ფონდის მიერ 2022 წ. განხორციელებული საქმიანობის ანგარიში

ა.ა.ი.პ. **საქართველოს დიაბეტის ფონდი** (არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი, საქველმოქმედო ორგანიზაციის დამადასტურებელი მოწმობა №4, 15.04.2005).

**საქართველოს დიაბეტის ფონდის** საქმიანობა 2022 წ. მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს:

1. დიაბეტიანი მოსახლეობისათვის (ძირითადათ მოზრდილები) სხვადასხვა სამედიცინო გამოკვლევების ჩატარებას;
2. დიაბეტიანებისთვის ანტიდიაბეტური მედიკამენტებით ჰუმანიტარული დახმარების გაწევას;
3. პაციენტების სასწავლო საგანმანათლებლო საქმიანობას;
4. მძიმე სოციალური მდგომარეობის მქონე პაციენტებისთვის ფინანსური დახმარების გაწევას;

ზემოთაღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება ხორციელდებოდა კერძო შემოწირულობებიდან, დეპოზიტის პროცენტებიდან და დამხმარე სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული სახსრებიდან.

**1. საქართველოში მცხოვრები დიაბეტიანი პაციენტებისთვის სამედიცინო გამოკვლევები მოიცავდა ლაბორატორიულ (HbA1c გლიკოჰემოგლობინის განსაზღვრა) და თვალის სრულ გამოკვლევებს (თვალის ფსკერის გამოკვლევას ფუნდუს კამერით, თვალის რეფრაქტომეტრული გამოკვლევას, თვალის წნევის გაზომვას ,სათვალის შრჩევას და სხვ.).**

**2. დიაბეტიანი პაციენტებისათვის მედიკამენტებით ჰუმანიტარული დახმარება მოიცავდა ფონდის მარაგში არსებული ინსულინის და შპრიც-კალმისტრების დარიგებას; აგრეთვე საანალიზო-ტექნიკური საშუალებების (გლუკომეტრები, საანალიზო ჩხირები და სხვ.) გაცემას, როგორც საქართველოს მოქალაქეებზე, ასევე არარეზიდენტი დიაბეტიანი პაციენტებისთვის.**

**3. ფონდი დიაბეტურ სკოლაში ახორციელებდა დიაბეტური განათლების მიცემას ყველა დაინტერესებული პირისთვის, სადაც ლექციებს ატარებდნენ ენდოკრინოლოგიის აღიარებული და მაღალკვალიფიცური სპეციალისტები. ფონდმა დაბეჭდა და უფასოდ დაურიგა დიაბეტიან ბავშვებს და მოზრდილებს სასწავლო-სამაგიდე წიგნი „დიაბეტის მართვა", რომელიც ფასდაუდებელ დახმარებას უწევს დიაბეტიანი ბავშვების მშობლებს და ყველა დაინტერესებულ პირებს.**

**4. მრავალი წელია ფონდი ფინანსურ დახმარებას უწევს სოციალურად უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს,რომელთაც სახლში ყავთ დიაბეტიანი და ასევე სხვა ნოზოლოგიის შშმ პირები.**

საანგარიშო პერიოდში ზემოთაღნიშნული მომსახურება და დახმარება გაეწია ათეულობით დიაბეტიან ბავშვსა და მოზრდილ პაციენტს, რომლის დეტალური ანგარიში სრული საფინანსო ინფორმაციისათვის (იხილეთ ბალანსი და საქმიანობის შედეგების ანგარიშგების ფორმები) წინამდებარე ანგარიშს თან ახლავს.

## საქართველოს დიაბეტის ფონდი

**ბ ა ლ ა ნ ს ი**

**2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

| | | 2021 | 2022 | |
|---|---|---|---|---|
| | აქტივები<br><br>გრძელვადიანი აქტივები | | | |
| | ძირითადი საშუალებები | 1926184 | 1828893.00 | |
| | ინვესტიციები | 153922 | 1702722.00 | |
| | სხვა გრძელვადიანი აქტივები | | | |
| | | | | |
| | *მიმდინარე აქტივები* | | | |
| | მატერიალური მარაგი | 29569 | 25827.00 | |
| | დებიტორები | 9171 | 10673.00 | |
| | ავანსები | 330 | 630.00 | |
| | ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი | 2613751 | 1086722.00 | |
| | | | | |
| | **სულ აქტივები** | 4732927 | 4655467.00 | |
| | ფონდები და ვალდებულებები<br>*ფონდები* | | | |
| | შეუზღუდავი ფონდი | 4021809.00 | 3957557.00 | |
| | დროებით შეზღუდული ფონდი | 703337.00 | 688955.00 | |
| | მუდმივად შეზღუდული ფონდი | | | |
| | *გრძელვადიანი ვალდებულებები* | | | |
| | გრძელვადიანი სესხები | | | |
| | საპენსიო ანარიცხები | | | |
| | *მოკლევადიანი ვალდებულებები* | | | |
| 7 | კრედიტორები | 7781.00 | 8955.00 | |
| | მოკლევადიანი სესხები | | | |
| | გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი | | | |
| | | | | |
| | **სულ ფონდები და ვალდებულებები** | 4732927.00 | 4655467.00 | |

## საქართველოს დიაბეტის ფონდი

**საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის**

**I. შეუზღუდავი ფონდების ნაწილში**

| №№ | შემოსავლები | 2022 |
|---|---|---|
| 1 | შესრულებული სამუშაო | 93674 |
| 2 | საპროცენტო შემოსავლები | 84142 |
| 3 | დივიდენდი | 150195 |
| | | |
| | *სულ შემოსავლები* | **328011** |
| | ხარჯები | |
| 1 | I პროექტის ხარჯი | 392263 |
| | *სულ ხარჯები* | **392263** |
| 1 | მთლიანი შედეგი (შემოსავლების ნამეტი/ დეფიციტი) | **-64252** |
| 2 | განსაკუთრებული მუხლები | |
| | *წმინდა შედეგი (ფონდის ზრდა/შემცირება)* | ***-64252*** |

**II.დროებითი შეზღუდული ფონდების ნაწილში**

| №№ | შემოსავლები | 2022 |
|---|---|---|
| 1 | შემოწირულობა, | 20 |
| 2 | ფონდების გადანაწილება | |
| 3 | საწევროები | 1650 |
| | | |
| | *სულ შემოსავალი* | **1670** |
| | ხარჯები | |
| 1 | I პროექტის ხარჯი | **16053** |
| | | |
| | *სულ ხარჯები* | **16053** |
| | *წმინდა შედეგი (ფონდის ზრდა/შემცირება)* | ***-14383*** |

## „დასავლეთს რუსეთის დესტაბილიზაცია და ნაწილებად დაყოფა სურს"



რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, დიმიტრი მედვედევის განცხადებით, დასავლეთის მიზანი რუსეთის „ნაწილებად დაყოფაა".

**„რაში სჭირდება დასავლეთის ქვეყანა, რომელსაც აქვს გიგანტური ტერიტორია და ყველაზე სერიოზული ბირთვული ფარი? ქვეყანა, რომელიც ამერიკელებსაც არ ემორჩილება? აბსოლუტურად არაფერში. ამიტომ დასავლეთის სურვილი ძალიან მარტივია: პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაცია, ქვეყნის დაყოფა ნაწილებად, თითოეულ ამ ნაწილთან მოლაპარაკება და თითოეული მათგანის დემილიტარიზაცია. მათ (დასავლეთის ქვეყნებს) არ სურთ ჩვენთან თანაბარი პარტნიორობა, რადგან მათ ეს არ სჭირდებათ. იგივე ეხება ჩინეთის მიმართ დასავლეთის დამოკიდებულებას. არა იმიტომ, რომ ჩვენ რაღაცნაირად არასწორები ვართ, არამედ იმიტომ, რომ მათ ეს არ სჭირდებათ. მათ უნდათ, რომ მთელ მსოფლიოში თავად დომინირებდნენ",** — განაცხადა მედვედევმა.

## მაია სანდუ: ეს უდავო ჭეშმარიტებაა - მოლდოვის სახელმწიფო ენა რუმინულია!



**ჩვენ გამოვაქვეყნეთ კანონი, რომელიც ადასტურებს ისტორიულ და უდავო ჭეშმარიტებას — მოლდოვის სახელმწიფო ენა რუმინულია,** — განაცხადა მოლდოვის პრეზიდენტმა, მაია სანდუმ.

**„მინდა რუმინულმა ენამ გაგვაერთიანოს ყველა ჩვენგანი, ვინც აქ ვცხოვრობთ და ვისაც ეს მიწა გვიყვარს. ჩვენ, მთელ მსოფლიოში ოცდაშვიდ მილიონზე მეტ ადამიანთან ერთად, ვსაუბრობთ რუმინულად, ევროკავშირის ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე",** — აღნიშნა მოლდოვის პრეზიდენტმა. მაია სანდუს თქმით, **ისინი, „ვინც ათწლეულების განმავლობაში გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენ, მოლდოვის მოქალაქეები, ვსაუბრობთ „მოლდოვურ" ენაზე და არა რუმინულად მხოლოდ ჩვენი დაყოფის მიზანს მისდევდნენ".**

## ამერიკა ჩინეთის ტერიტორიულ წყლებში უკანონოდ იჭრება...

**ჩინეთის შეიარაღებული ძალების განცხადებით, ამერიკული სამხედრო ხომალდი „მილიუსი" ჩინეთის ტერიტორიულ წყლებში უკანონოდ შევიდა.**

პეკინში აცხადებენ, რომ შემთხვევა სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, პარასელის კუნძულების სიახლოვეს დადასტურდა, რის გამოც საბრძოლო მზაობა გაზარდეს და მიიღებენ ყველა ზომას ეროვნული სუვერენიტეტის დასაცავად და სამხრეთ ჩინეთის ზღვაში მშვიდობისა და სტაბილურობის შესანარჩუნებლად. აშშ-სა და ჩინეთს შორის ურთიერთობები გასულ წელს ტაივანის კუნძულის გარშემო არსებული საკითხის გამო კიდევ უფრო დაიძაბა კუნძულზე აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის იმჟამინდელი სპიკერის, ნენსი პელოსის ვიზიტის გამო. ტაივანს პეკინი, ერთი ჩინეთის პრინციპის თანახმად, საკუთარ ტერიტორიად მიიჩნევს.

◉ ჩემპიონთა ლიგა

# უკვე გაგვიტკბა



**„დინამო თბილისმა“ წყალბურთის ჩემპიონთა ლიგაზე ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა! დეიან სტანოიევიჩის გაწვრთნილმა გუნდმა თბილისში სერბული „რადნიჩკი“ უშანსოდ, 13:8 დაამარცხა.**

აღსანიშნავია, რომ ეს გამარჯვება მოულოდნელი იყო, მით უფრო, ასე იოლად და დამაჯერებლად. „დინამომ“ პირველივე პერიოდში მოიპოვა სოლიდური უპირატესობა (4:0), რაც შემდეგ ხელიდან არ გაუშვია და საქმე გამარჯვებამდე საკმაოდ მშვიდად მიიყვანა.

„დინამო თბილისის“ რიგებიდან 3-3 გოლი **იოვან სარიჩმა, სტეფან პიესივაცმა** და **საბა ტყეშელაშვილმა** გაიტანეს, ორჯერ გამოიჩინა თავი **ანდრია ვლაჰოვიჩმა,** ხოლო თითო ბურთი **ბესარიონ ახვლედიანის** და **გიორგი მაგრაქველიძის** აქტივშია. მატჩის საუკეთესო მოთამაშედ თბილისური გუნდის მეკარე **ირაკლი რაზმაძე** დასახელდა.

„დინამო თბილისმა“ ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა, რითაც ჯგუფში ბოლო ადგილს დააღწია თავი. ქართული გუნდი 2 მოგებით და 8 წაგებით A ჯგუფში მეშვიდე პოზიციაზეა, ხოლო მომდევნო ტურში 5 აპრილს ხორვატულ „იადრანს“ უმასპინძლებს.

◉ რეიტინგი

# საქართველო მე-11 ადგილზეა

**2023 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის ტრიუმფით დასრულების შემდეგ, ბორჯღალოსნები მსოფლიო რეიტინგში ისტორიულ მაქსიმუმს, მე-11 პოზიციას დაუბრუნდნენ, რომელსაც ბოლოს 2019 წლის სექტემბრის ბოლოს იკავებდნენ.**

ესპანეთის ქალაქ ბადახოსში გამართულ ფინალში, 2023 წლის მსოფლიო თასის ჯგუფური ეტაპის ერთ-ერთი მომავალი მოწინააღმდეგე პორტუგალია საქართველომ 38:11 დაამარცხა. მეტოქე 50-ე წუთამდე დიდ წინააღმდეგობას გვიწევდა, თუმცა ბორჯღალოსანთა გამოცდილებამ და ძალამ თამაში ლოგიკურ შედეგამდე მიიყვანა.

ამ გამარჯვებით საქართველომ ზედიზედ მე-6-ედ მოიპოვა რაგბი ევროპის ჩემპიონის ტიტული და გაიმეორა თავისივე მიღწევა (2011-2016 წლებში); 2018 წლიდან დღემდე 29-მატჩიანი წაუგებელი სერია მოუგროვდა; ტურნირზე მე-100 გამარჯვებით კი, მსოფლიო რეიტინგში სამოას გადაასწრო და 76,23 ქულით მე-11 პოზიციაზე აღზევდა.

მოწინავე ათეულში შესვლამდე, რაც ქართული რაგბის გაცხადებული მიზანია, ერთი ხელის გაწვდენა რჩება. საქართველოს წინ იაპონიაა, რომელიც 1,16 სარეიტინგო ქულით გვისწრებს.




◉ ეროვნული თასი

# რჩეულთა კვარტეტი



**საქართველოს საკალათბურთო თასის გათამაშების ოთხთა ფინალისტები ცნობილია. კვარტეტში ყველაზე ადრე ბათუმი გავიდა, რომელმაც მეოთხედფინალურ სერიაში ქუთაისს სძლია, ხოლო თბილისსა და რუსთავში კიდევ 3 ოთხთა ფინალისტი გამოვლინდა. 3 წყვილში სერიის საპასუხო მატჩები ჩატარდა და გამარჯვებულები ის გუნდები გამოვიდნენ, რომლებმაც სერიის პირველი მატჩები მოიგეს.**

ბათუმს ოთხთა ფინალში ოლიმპი, თსუ და გურჯაანის დელტა შეუერთდნენ. ტურნირის დასაწყისში ჩატარებული წილისყრისა და შედგენილი ბადის წყალობით, ნახევარფინალური წყვილებიც დაკომპლექტებულია. 11 აპრილს ნახევარფინალში ოლიმპი თსუ-ს შეხვდება, ხოლო ბათუმი დელტას დაუპირისპირდება. გამარჯვებული ერთი მატჩის შედეგად გამოვლინდება და ფინალში გასული გუნდები თასის მოსაგებად მეორე დღეს, 12 აპრილს ითამაშებენ.

### კავკასია – ოლიმპი 77:83

**პირველი მატჩი – 85:92**

სუპერლიგის ლიდერი ოლიმპი ოთხთა ფინალში მთლიანობაში დამაჯერებლად გავიდა – მეტოქე კავკასიას ორივე მატჩი, ჯამში 14 ქულით მოუგო, თუმცა სერიის საპასუხო მატჩში გვარიანი ძალისხმევა დასჭირდა, მეტოქე რომ გაეტეხა.

ბექა წივწივაძის გაწვრთნილი კავკასია თამაშის დასრულებამდე 6 წუთით ადრე 5 ქულით – 67:62 უგებდა ოლიმპს და სერიაში გამარჯვებამდე უპირატესობის 8 ქულამდე გაზრდა ესაჭიროებოდა. მოგეხსენებათ, ოლიმპს წინა მატჩში მოგებული 7 ქულა რეზერვში ჰქონდა და ამაზე ნაკლებით რომ წაეგო, 2 მატჩის ჯამში იგებდა. საბოლოოდ არც წააგო, დავით როგავას გაწვრთნილმა გუნდმა დიდებული დასკვნითი 5-წუთეული ჩაატარა, რომელიც 21:10 მოიგო და საბოლოო გამარჯვებაც მას დარჩა.

ოლიმპი ნახევარფინალში თსუ-ს შეხვდება, რომელმაც მეოთხედფინალიდან რუსთავი გააგდო.

### რუსთავი – თსუ 84:85

**პირველი მატჩი – 82:90**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს საპასუხო მატჩის წინ 8-ქულიანი უპირატესობა ჰქონდა, თუმცა მეტოქე საკმაოდ ძლიერი იყო, რომელიც საკუთარ ქალაქში, გულშემატკივრებით სავსე დარბაზში თამაშობდა. ქვემოქართლელები 8 ქულით მე-3 პერიოდში იგებდნენ, ანატოლი ბოისას გუნდმა პირველ პერიოდში მეტოქის სასარგებლოდ არსებული უპირატესობა აღმოფხვრა და ცხადია, საბოლოო გამარჯვების იმედიც ჰქონდა. გამოცდილი კალათბურთელებით დაკომპლექტებულმა საუნივერსიტეტო გუნდმა მესამე პერიოდში ჩამორჩენის 3 ქულამდე შემცირება მოახერხა და დასკვნით ათწუთეულში სასურველ შედეგამდეც მივიდა.

რუსთაველები ბოლო წუთზე ვა-ბანკზე წავიდნენ და სამქულიანებით ცდილობდნენ სასურველი სხვაობის მოპოვებას, რაც არ გამოუვიდათ და ამით თსუ-მ ისარგებლა, ბოლო წუთზე 4 ქულით ჩამორჩენილმა საბოლოოდ გამარჯვება მოიპოვა. კონტრშეტევებითა და საჯარიმოებით ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილი გუნდი გამარჯვებამდე მივიდა და ოთხთა ფინალის საგზური მოიპოვა.

### კაკტუსი – დელტა 72:79

**პირველი მატჩი – 82:90**

კაკტუსს ცუდი დროება უდგას. ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილი გუნდი პირველი წრის შემდეგ სუპერლიგას ლიდერობდა და მეორეში 8 მატჩიდან მხოლოდ 1 მოგებით პლეი ოფში გასვლაც საბრძოლი გაუხდა. კაკტუსი გამოვარდა თასის გათამაშებიდანაც. გუნდმა მეორე მატჩიც წააგო გურჯაანის დელტასთან.

კაკტუსი მხოლოდ დასაწყისში, ისიც მაქსიმუმ 4 ქულით იგებდა, რის შემდეგაც დელტამ სათამაშო უპირატესობა და ლიდერობა მოიხელთა და თამაშის ბოლომდე ხელიდან აღარ გაუშვია. დელტას პირველი მატჩის შემდეგ 8-ქულიანი ჰანდიკაპი ჰქონდა, რომელიც იოლად ხომ შეინარჩუნა და ზემოდან 7 ქულაც დაამატა.

გურჯაანელები ნახევარფინალში ბათუმს შეხვდებიან. შეგახსენებთ, რომ ნახევარფინალური მატჩები თბილისში, დიღმის დარბაზში, 11 აპრილს გაიმართება, ხოლო ფინალი იქვე, მეორე დღეს, 12 აპრილს ჩატარდება, რომელიც 2023 წლის თასის მფლობელს გამოავლენს.

◉ შეკრება

# კაპიტანიც შეუერთდათ

**საქართველოს ფეხბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები, ლატვიის 21-წლამდელთა გუნდთან 26 მარტს გასამართავი შეხვედრისთვის მზადებას, თურქეთის ქალაქ ბელეკში განაგრძობს.**

გუნდს გუშინ 21-წლამდელთა კაპიტანი, **გიორგი გულიაშვილი** შეუერთდა და ვარჯიშის შემდეგ მოახლოებული შეხვედრის შესახებ, თანაგუნდელთან – **გიორგი მოისწრაფიშვილთან** ერთად ისაუბრა.



**გიორგი გულიაშვილი:** შარშანდელის მსგავსად, გვინდა წელი გამარჯვებით დავიწყოთ. ამას გარდა, ლატვიასთან მატჩი ევროპის ჩემპიონატამდე ბოლო ამხანაგური შეხვედრაა და გვსურს ტურნირს კარგი განწყობით შევხვდეთ.

**გიორგი მოისწრაფიშვილი:** მესამე დღეა რაც შეკრებაზე ვართ, იდეალური გარემოა სავარჯიშოდ და კარგი იქნება, რომ ეს მომზადება 26-ში, შედეგში გარდავსახოთ. ლატვია კარგი გუნდია, თუმცა ჩვენ ჩვენი ფეხბურთის თამაშს შევეცდებით და იმედია წლის პირველ მატჩს გამარჯვებით დავასრულებთ.

◉ ფიგურული სრიალი

# მეტს ველოდით

**იაპონიის ქალაქ საიტამაში მსოფლიოს ჩემპიონატზე სპორტული წყვილების შემდეგ ასპარეზობაში გოგონები, საქართველოს სახელით კი ანასტასია გუბანოვა ჩაერთო, რომელმაც მოკლე პროგრამაში მე-11 ადგილი დაიკავა და ფინალში განაგრძობს ასპარეზობას. მოკლე პროგრამაში ევროპის ჩემპიონმა 65.40 ქულა დააგროვა, რაც საკმარისი გამოდგა, იმისთვის, რომ ფინალში გამოსვლის უფლება მოეპოვებინა.**



მოკლე პროგრამის შემდეგ, ქალთა კატეგორიაში 79.24 ქულით იაპონელი კაორი საკამოტო ლიდერობს.

ანასტასია გუბანოვა მე-3 ჯგუფში მე-14 ნომრად ისრიალებს. თავისუფალი პროგრამა დღეს 12 საათზე დაიწყება. აღსანიშნავია, რომ თავისუფალ პროგრამაში მსაჯთა შემადგენლობაში იმუშავებს საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი **სალომე ჩიგოგიძე**. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ გუშინ სპორტული წყვილების მოკლე პროგრამით მსოფლიო ჩემპიონატზე ლუკა ბერულავა და კარინა საფინა წარსდგნენ. მათ მე-14 ადგილი დაიკავეს და ფინალში იასპარეზებენ.



# მდინარე იორდანეზე ქართული კულტურის ცენტრის დასაარსებლად სამთავრობო კომისიის მეორე სხდომა გაიმართა



**მდინარე იორდანეს ნაპირთან ქართული კულტურის ცენტრის პირველადი არქიტექტურული ესკიზი და საპრეზენტაციო მასალები პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, მთავრობის წევრებს და საპატრიარქოს წარმომადგენლებს წარედგინათ.**

წინასაპროექტო კვლევების საფუძველზე მომზადებულ მასალებს კომისიის წევრები იორდანიის ჰაშიმიტურ სამეფოში, მდინარე იორდანეზე, მაცხოვრის ნათლობის ადგილის მიმდებარედ, ქართული კულტურის ცენტრის დასაარსებლად შექმნილი სამთავრობო კომისიის მეორე სხდომის ფარგლებში გაეცნენ. კომისიის წევრებმა განიხილეს ცენტრის მშენებლობისთვის განსახორციელებელი შემდგომი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სამთავრობო კომისიის მუშაობას პირადად ხელმძღვანელობს. მდინარე იორდანეზე ქართული კულტურის ცენტრის დასაარსებლად სამთავრობო კომისიის მეორე სხდომას ვიცე-პრემიერი, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი ამილახვარი, იუსტიციის მინისტრი რატი ბრეგაძე, ფინანსთა მინისტრი ლაშა ხუციშვილი, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვლადიმერ კონსტანტინიდი, საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე) და ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე) ესწრებოდნენ.

საქართველოს საკუთრებაში არსებული 4000 კვადრატული მეტრი მიწა მაცხოვრის ნათლობის ადგილის მიმდებარედ, მდინარე იორდანესთან 15-20 მეტრის მანძილზეა. საქართველოსთვის მიწის გადმოცემის ღონისძიებაში პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა იორდანიის ჰაშიმიტური სამეფოს პრინც ღაზისთან ერთად 2022 წლის გაზაფხულზე მიიღო მონაწილეობა.

# საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღე

**25 მარტს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ავტოკეფალიის აღდგენის დღეს დღესასწაულობს.**

ცნობილია, რომ ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში რომის იმპერიაში ავტოკეფალურ ეკლესიებად ითვლებოდნენ პროვინციათა საეპისკოპოსოები, რომელთა მეთაურები უშუალოდ ემორჩილებოდნენ იმპერატორსა და მსოფლიო საეკლესიო კრებას. ამჟამად მსოფლიოში 15 ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიაა.

...საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქრისტიანობა უქადაგია ქრისტეს რამდენიმე მოციქულს: ანდრია პირველწოდებულს, სვიმონ კანანელს, მატათასა და ბართლომეს; ქრისტიანობის საბოლოო დამკვიდრება და საეკლესიო იერარქიის დაფუძნება კი უკავშირდება მოციქულთა სწორ წმინდა ნინოს სამქადაგებლო მოღვაწეობას. 1990 წლის 4 მარტს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II მცდელობით კონსტრანტინოპოლის პატრიარქმა აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.

**P. S. აღესრულება სამადლობელი პარაკლისი და პანაშვიდი ავტოკეფალიის აღმდგენელთა სულთა საოხად.**

* * *

**25 მარტს მიცვალებულთა ხსენებაა, ყველა ტაძარში მათი სულის საოხად პანაშვიდს გადაიხდიან მღვდელმსახურნი.**

* * *

**26 მარტს დიდმარხვის მე-4 კვირიაკეს ღირსი იოანე სინელის (კიბისაღმწერლის) ხსენებაა.**

**გიული ლიპარტია**



# ბავშვთა ქალაქ „მზიურს“ კეთილმოწყობილი რეკრეაციული სივრცე დაემატება

**ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ იმ ტერიტორიაზე, რომელიც თბილისის მერიამ გასული წლის შემოდგომაზე ადგილმონაცვლეობის გზით დაიბრუნა, რეკრეაციული სივრცე ეწყობა. სამუშაოებს თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური აწარმოებს.** ინფორმაციას თბილისის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ავრცელებს.

**„მზიურში“ არსებული ტერიტორია, რომელიც, დაახლოებით, 1.5 ჰექტარი იყო და კერძო საკუთრებას წარმოადგენდა, მუნიციპალიტეტმა გამოისყიდა. არსებულ ტერიტორიაზე გვაქვს მუნიციპალური მიწაც. მთლიანობაში, ორ ჰექტარ ტერიტორიაზე ახალი პარკი ეწყობა, რომელიც „მზიურის“ გაგრძელება იქნება. იმ მთავარ, დიდ მდელოს, რომელიც დაზიანებული იყო, რეაბილიტაცია უტარდება – მთლიანად გამოიცვლება დრენაჟი და მწვანე საფარი, დაემატება ხე-მცენარეები. ასევე, სრულად რეაბილიტირდება სპორტული სივრცე და დამონტაჟდება განათების სისტემა. პარკში მოეწყობა საპიკნიკე არეალი და ძაღლების სასეირნო სივრცეც. „მზიური“ ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს, მისი ტერიტორიის გაფართოება კი ყველა თაობის ადამიანისთვის მნიშვნელოვანია“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

# ტანასა და თეძამის დაცული ტერიტორიები

**დათევზიანების პროცესში, სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ველური ბუნების სააგენტოს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და მერიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.**

მდინარის კალმახის ინკუბირებული ქვირითისა და ლარვის ველურ ბუნებაში გაშვება არის მეთოდი, რომელიც ხელს უწყობს მოწყვლადი სახეობის მომრავლებას და მაქსიმალურად ზრდის ბუნებრივად გამოჩეკვის პროცენტს ადამიანის მინიმალური ჩარევით. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოს მთავარ საქმიანობას, ახალი დაცული ტერიტორიების შექმნასთან ერთად, ბიომრავალფეროვნების დაცვა-აღდგენა და მათი ხელუხლებელ მდგომარეობაში შენარჩუნება წარმოადგენს, რისთვისაც არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება.



# ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო პაციენტებს სრული დატვირთვით მიიღებს!

**იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სრულმასშტაბიანი, ეტაპობრივი რეაბილიტაციის პროექტი დასრულდა. დღეისათვის, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად სრულადაა განახლებული საავადმყოფოს ინფრასტრუქტურა, აღჭურვილია ყველა სამედიცინო მიმართულება, მათ შორის: კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტი, ქირურგიული და პედიატრიული განყოფილებები, ასევე საოპერაციო ბლოკები; გარემონტდა და მოეწყო ერთ და ორსაწოლიანი კომფორტული პალატები პაციენტებისა და მათი მშობლებისთვის. განახლებული ცენტრალური საავადმყოფო სრულ მზადყოფნაშია, რომ პაციენტებს მაღალი სტანდარტის შესაბამისი ინფრასტრუქტურა და სრული სამედიცინო მომსახურება შესთავაზოს.**

განახლებული იაშვილის საავადმყოფო განაგრძობს მუშაობას მუდმივი განვითარებისთვის, რათა კლინიკა გახდეს საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე, რეგიონის მთავარი პედიატრიული ცენტრი. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით იაშვილის საავადმყოფომ უკვე დაიწყო თანამშრომლობა ამერიკის აკრედიტაციის საერთაშორისო კომისიასთან (AACI).

AACI-ს სააკრედიტაციო პროგრამა შექმნილია ჯანდაცვის ხარისხის, პაციენტის უსაფრთხოების განვითარებისა და მუდმივი გაუმჯობესების მხარდასაჭერად. ამერიკის აკრედიტაციის საერთაშორისო კომისიის (AACI) მიერ აკრედიტებულია ევროპის, აზიის, ახლო აღმოსავლეთის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის წამყვანი ჰოსპიტლები.

**„პირველ რიგში, მადლობა მინდა ვუთხრა ყველა იმ ადამიანსა და ინსტიტუციას, განსაკუთრებით – ჩვენს თანამშრომლებს, ვინც ჩართული იყო ეტაპობრივი რეაბილიტაციის იმ რთულ და მასშტაბურ პროექტში, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია არა მარტო ჩვენი პაციენტებისთვის, არამედ – მთელი ქვეყნისთვის. დღეს სიამაყით შემიძლია განვაცხადო, რომ ინფრასტრუქტურული პროექტი დასრულებულია და იაშვილის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო სრულად არის განახლებული. ბოლო წლების განმავლობაში, რეაბილიტაციის პროექტში 11 მლნ ლარის ინვესტიცია განხორციელდა. თუმცა, ეს მხოლოდ დასაწყისია და წინ დიდი გეგმები გვაქვს. ჩვენ განვაგრძობთ მუშაობას მუდმივი განვითარებისთვის, რათა ჩვენი კლინიკა გახდეს საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე, რეგიონის მთავარი პედიატრიული ცენტრი,“** – აღნიშნა იაშვილის საავადმყოფოს დირექტორმა, თამარ ვახტანგაძემ.

**„მინდა, ჩვენს მედპერსონალს დიდი მადლობა გადავუხადო და მივულოცო განახლებული კლინიკის გახსნა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთგულება, პროფესიული პასუხისმგებლობა და გულისხმიერება, რაც თითოეულმა მათგანმა რეაბილიტაციის პროცესში გამოიჩინა. აქვე, გვსურს, საზოგადოებას ბოდიში მოვუხადოთ სამედიცინო სერვისების შეჩერებით გამოწვეული დისკომფორტისთვის. ეტაპობრივი რეაბილიტაციის პროცესში ჩვენ მაქსიმალურად უზრუნველვყავით სამედიცინო მომსახურების უწყვეტობა, ვინაიდან იაშვილის საავადმყოფო უნიკალური და, ამავე დროს, ურთულესი კლინიკური სერვისების 24/7 მიმწოდებელი იყო ქვეყანაში, თუმცა, პროექტის დასკვნით ფაზაში, გარკვეული სერვისების დროებით შეჩერება გარდაუვალი იყო. ასევე, მადლობელნი ვართ იმ მხარდაჭერისთვის, რომელიც ჩვენი პაციენტების ოჯახების წევრებმა გამოავლინეს და ამას მუდმივად ვგრძნობდით. დღეს, იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო განახლებულია და ჩვენ მზად ვართ, ჩვენს პაციენტებს შევთავაზოთ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პირობები და მულტიფუნქციური, მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურება,“** – აღნიშნა იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს კლინიკურმა დირექტორმა, ივანე ჩხაიძემ.



# „თეთრი ბაირაღები“ სტუდენტურ სცენაზე



**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში „თეთრი ბაირაღების“ ჩვენებას დაესწრო.** სპექტაკლი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახალხო თეატრ-სტუდია „მოდინახეს“ სტუდენტი მსახიობების მონაწილეობით შედგა. სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია **ნუგზარ ბუცხრიკიძე.**

ჩვენებას ასევე ესწრებოდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი **დავით გურგენიძე;** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **კარლო კოპალიანი;** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი **დავით ოქიტაშვილი;** საქართველოს პარლამენტის წევრი **ქეთევან დუმბაძე** – საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის წევრი; საქართველოს პარლამენტის წევრი **გივი ჭიჭინაძე** - კულტურის კომიტეტის წევრი, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე; საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე **ავთანდილ ენუქიძე;** საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი **გიორგი შალუტაშვილი;** თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორი **ყარამან ქუთათელაძე;** ღონისძიებას დაესწრნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.



ცნობილია, რომ „თეთრი ბაირაღების“ სცენაზე გაცოცხლების შემოქმედებით პროცესს ხშირად ესწრებოდა თავად ავტორი, ყველასათვის საყვარელი ქართველი მწერალი – ნოდარ დუმბაძე. მისი დაბადებიდან 95 წლის შესრულებასთან დაკავშირებით, სტუდენტების მონაწილეობით სწორედ „თეთრი ბაირაღები“ დაიდგა, რისთვისაც კულტურის მინისტრმა ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, რეჟისორ ნუგზარ ბუცხრიკიძესა და სტუდენტებს დიდი მადლობა გადაუხადა.

# „ქართლი“ ქუთაისიდან სიგელით, მედლითა და ვარსკვლავით დაბრუნდა

**ქუთაისში, ოპერის თეატრში საერთაშორისო ფესტივალი „აპოლონიადა 2023“ ჩატარდა, სადაც მონაწილეობა მიიღეს რეგიონების ვოკალურმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა.**



„ფესტივალზე „აპოლონიადა 2023“ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის და ააიპ კულტურის, ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანების ფინანსური მხარდაჭერით და ტრანსპორტირების ხარჯების დაფინანსებით, ხაშურის შემოქმედებითი ცენტრის ვოკალური ჯგუფი „ქართლი“, გაემგზავრა გოგი შუბითიძის ხელმძღვანელობით, რომელმაც ღირსეულად წარადგინა რაიონი. ვოკალური ჯგუფი „ქართლი“ მხურვალე აპლოდისმენტებით, სამახსოვრო სიგელებით, მედლით და ვარსკვლავით დაბრუნდა ხაშურში.

# გაშიფრეს ბეთჰოვენის დნმ



**კემბრიჯის უნივერსიტეტის მეცნიერებმა გერმანელი კომპოზიტორის ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის დნმ გაშიფრეს, თუმცა მისი გარდაცვალების მიზეზი ზუსტად ვერ დაადგინეს.**

სპეციალისტებმა ბეთჰოვენის თმა შეისწავლეს, რომელიც კერძო კოლექციებში ინახება და გენომის სეკვენირებაზე დაყრდნობით დაადგინეს რა დაავადებები ჰქონდა ლეგენდარულ კომპოზიტორს.

კომპოზიტორი ვენაში, 56 წლისა გარდაიცვალა. მისი დაღუპვის მიზეზი ყოველთვის კამათს იწვევდა. ვერც კემბრიჯის მეცნიერებმა დაადგინეს ზუსტად რამ გამოიწვია კომპოზიტორის გარდაცვალება. თუმცა მათ აღმოაჩინეს, რომ ბეთჰოვენს ღვიძლის დაავადებებისადმი გენეტიკური მიდრეკილება ჰქონდა, სიცოცხლის ბოლოს კი კომპოზიტორი B ჰეპატიტით იყო დაავადებული. ამასთან, მეცნიერებმა კომპოზიტორის ჩანაწერები შეისწავლეს და დაადგინეს, რომ სიცოცხლის ბოლო 10 წლის განმავლობაში ის რეგულარულად მოიხმარდა ალკოჰოლს, თუმცა უცნობია რა მოცულობით. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ სავარაუდოდ საუბარია ალკოჰოლის დოზებზე, რომლებიც ღვიძლისთვის მავნებლად ითვლება. ბეთჰოვენის გენეტიკური მიდრეკილების გათვალისწინებით, შესაძლოა ამას ციროზი გამოეწვია და კომპოზიტორის გარდაცვალების მიზეზი სწორედ ეს დაავადება გახდა.

# მაჩვებმა სარკინიგზო მოძრაობა შეაფერხეს



**ნიდერლანდებში მაჩვების მიერ გათხრილი მიწის გამო სარკინიგზო მიმოსვლა შეფერხდა. მაჩვები მიწას პირდაპირ ლიანდაგების ქვეშ თხრიან, რის გამოც სარკინიგზო გზის ჩანგრევის საშიშროება იზრდება. შედეგად, ქვეყნის სამხრეთსა და ჩრდილოეთში, ზოგ მარშრუტზე მოძრაობა სულ მცირე ერთი კვირის განმავლობაში შეჩერებულია.**

პრობლემას ის გარემოებაც ართულებს, რომ მაჩვები ნიდერლანდებში დაცული სახეობაა. ამიტომ სპეციალისტებს ბევრი დრო დასჭირდებათ, რადგან ცხოველების სხვა ლოკაციაზე გადასაყვანად ან მათი ბინადრობის არეალის შესაცვლელად, რადგან ამისთვის ნებართვაა საჭირო. ამ ეტაპზე სარკინიგზო კომპანიაში ქვიშის გორაკის დაყრას გეგმავენ იქ, სადაც მაჩვები სოროების გათხრას შეძლებენ.

# ვაკანსია „დათვების პროფესიონალ ჩამხუტებლებზე“



**აშშ-ში, ნიუ-მექსიკოს შტატი ნადირობისა და თევზაობის დეპარტამენტმა კონსერვაციის ოფიცრების ვაკანსია გამოაცხადა, რომელთა მოვალეობაშიც „დათვების პროფესიონალი ჩახუტება“ შედის.**

სამწუხაროდ, დათვების სიყვარული კანდიდატებისადმი წაყენებული ერთადერთი მოთხოვნა არ არის. მათ ასევე უნდა ჰქონდეთ ბაკალავრის წოდება ბიოლოგიის, პოლიციური მეცნიერების, ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებისა და ეკოლოგიის სფეროებში. ამასთან, ამ ადამიანებს დაძაბულ პირობებში მუშაობა და დათვების ბუნაგებში შეძრომა მოუწევთ, ამისთვის კი კოლეგებს შორის ნდობის მაღალი დონეა საჭირო. განაცხადები 30 მარტამდე მიიღება.

# რუპერტ მერდოკი მეხუთედ ქორწინდება

**92 წლის მედიამაგნატი რუპერტ მერდოკი მეხუთედ აპირებს დაქორწინებას.** ამჯერად მილიარდერის რჩეული 66 წლის ენ ლესლი სმიტია რომელიც პოლიციაში კაპელანად მუშაობდა. 14 წლის წინ ლესლი დაქვრივდა – მისი მეუღლე მუსიკოსი და ბიზნესმენი ჩესტერ სმიტი იყო. მერდოკმა მომავალი მეუღლე 2022 წლის სექტემბერში გაიცნო და დაქორწინება ცოტა ხნის წინ შესთავაზა. წყვილი დაქორწინებას ზაფხულის ბოლოს გეგმავს.

**„ძალიან ვნერვიულობდი. მეშინოდა შეყვარების შესაძლებლობის, მაგრამ ვიცოდი, რომ ეს ჩემი უკანასკნელი სიყვარული იქნებოდა. ძალიან ბედნიერი ვარ“,** – განაცხადა მერდოკმა. რუპერტ მერდოკი ჰოლდინგების – News Corp და 21 st Century Fox დამფუძნებელი და მფლობელია. ამ კომპანიების მფლობელობაშია ისეთი ცნობილი გამოცემები, როგორებიცაა The Wall Street Journal, The Times, Fox News, New York Post და The Sun. მერდოკის ქონება 417,2 მლრდ დოლარს შეადგენს.




საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.


**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 27 მარტს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.5754; ევრო - 2.7778;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1644;
100 რუბლი - 3.3407; თურქული ლირა - 0.1367;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5176;
1000 სომხური დრამი - 6.6282

**ამინდი 24 მარტისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +6, | დღე +23 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +1, | დღე +19 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +5, | დღე +16 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +3, | დღე +16 |
| თბილისი: | ღამე | +8, | დღე +20 |


დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge